№22(23) 7.06.1991

სპორტიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი

ფასი 40 კაპიკი

საქართველოს მენეჯერთა კავშირი

ნომერშია:

არა მხოლოდ ევროპის ჩემპიონატზე
ინტერვიუ ზაურ ცხადაძესთან
მე-4 გვერდი

ლარი ბერდი:
„როცა ფულს გიხდიან, უნდა იმუშაო კიდეც“
მე-5 გვერდი

ფორმულა 1
ნუ „ჩამოწერთ“ ვეტერანს
მე-6 გვერდი

ჯონსონი — ლუისი
ისევ ერთმანეთის პირისპირ
მე-8 გვერდი

გია ახალაძის ფოტო

ქალთა ფეხბურთმა საქართველოში ამ რამდენიმე წლის წინ მოიკიდა ფეხი, თუმცა ჩვენმა გუნდებმა უკვე არაერთხელ გამოიჩინეს თავი. ამ დღეებში თბილისის „მეტეხის“ გოგონათა გუნდმა გვასახელა — ჰოლანდიის საერთაშორისო ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა (იხ. მე-2 გვ.).

ფიფა პასუხობს

წელიწადნახევარია, რაც ქართული ფეხბურთი იზოლირებულია საერთაშორისო საფეხბურთო სამყაროსაგან. ჩვენს გუნდებს ეკრძალებათ უცხოეთის კლუბებთან არა მარტო ოფიციალური, არამედ ამხანაგური შეხვედრების გამართვაც. ცხადია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის უმთავრესი საზრუნავია საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციებში — ფიფა-სა და უეფა-ში გაწევრიანება. მაისის შუა რიცხვებში, ბრემენის საერთაშორისო ტურნირზე ყოფნისას, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე ჩივაძემ ციურიხში, ფიფა-ს შტაბ-ბინაში გააგზავნა ოფიციალური განცხადება ჩვენი ფედერაციის ფიფა-ში გაწევრიანების თაობაზე.

ამ დღეებში კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მიიღო წერილი, რომელიც ადრე გაგზავნილი განცხადების პასუხად გამოგზავნეს ციურიხიდან:

„ძვირფასო ბატონებო!

ჩვენ ვადასტურებთ, რომ პრეზიდენტ აველანჟის სახელზე მივიღეთ თქვენი განცხადება ზემოთმოყვანილი თხოვნის შესახებ. ჩვენმა იურიდიულმა კომიტეტმა 1991 წლის 2 მაისის შეხვედრაზე განიხილა ის პრობლემები, რომელთა წინაშეც დგანან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები და გადაწყვიტა, რომ სტატუსთან დაკავშირებული მიზეზების გამო ამჟამად ფიფა-ს არ შეუძლია მიიღოს ბევრი თხოვნა გაწევრიანების თაობაზე.

ფიფა-ს მხოლოდ შეუძლია მიიღოს განცხადება (თხოვნა), თუ ასოციაცია, რომელიც წარადგენს განცხადებას, იმყოფება პოლიტიკურად დამოუკიდებელ ქვეყანაში ან რეგიონში, რომელსაც ჯერ არ მოუპოვებია დამოუკიდებლობა, მაგრამ შეიძლება მიიღოს თანხმობა იმ ქვეყნის ეროვნული კომიტეტისაგან, რომელზეც ის არის დამოკიდებული. ჩვენ ვწუხვართ, რომ არ შეგვიძლია მოგცეთ დადებითი ინფორმაცია.

გისურვებთ ყოველივე კარგს.

თქვენი ერთგული,

ფიფა-ს გენერალური მდივანი

ი. ს. ბლატერი.“

პენსიები ოლიმპიელებს

საქართველოს სპორტის ისტორიაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის აღსანიშნავად, ოლიმპიურ ასპარეზზე საქართველოს სპორტის ღირსეულ წარმოჩენაში დიდი დამსახურებისათვის, რესპუბლიკაში ოლიმპიზმის იდეების პროპაგანდისა და დამკვიდრებაში აქტიური მონაწილეობისათვის, აგრეთვე ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე ვეტერან სპორტსმენთა სოციალური დაცვის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი

ადგენს:

1. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მოზიდული სახსრებიდან 1991 წლის 1 ივლისიდან საქართველოს რესპუბლიკიდან ოლიმპიური თამაშების პრიზიორებს ყოველთვიურად დაენიშნოთ ოლიმპიური პენსია შემდეგი ოდენობით:

ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს — თვეში 300 მანეთი;

ოლიმპიური თამაშების მეორე და მესამე პრიზიორებს ერთდროული დახმარება 1000-1000 მანეთი;

2. სპორტსმენს, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ორჯერ ან მეტად, დაენიშნოს ოლიმპიური პენსია თვეში 400 მანეთის ოდენობით.

3. გარდაცვლილი ოლიმპიური ჩემპიონის ა.ქორაძის ოჯახს გაეწიოს ერთდროული დახმარება 1000 მანეთის ოდენობით.

4. მიღებული იქნეს ცნობად, რომ ოლიმპიური პენსიის დანიშვნის საკითხზე ინფორმირებულია საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი.

ნ.ბაგრინდაშვილი,
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი.

ამერიკაში, იმედით...

მადლობა ღმერთს, ჯერ არ გამქრალა ჩვენში სიკეთის მადლი. მრავალი ადამიანი და ორგანიზაცია ამოუდგა მხარში ლოგინად ჩავარდნილ ახალგაზრდას, ყოფილ ძიუდოისტს გიორგი რთველიაშვილს, რომელმაც ოთხი წლის წინათ შეჯიბრებაზე მიიღო უმძიმესი ტრავმა. ამ ხნის განმავლობაში ჩვეულებრივი, ადამიანური ნუგეში თუ სერიოზული დახმარება იქცა იმ საშუალებად, რომ შესაძლებელი გახდა გიგა ამერიკაში სამკურნალოდ გამგზავრებულიყო. ბევრს მიუძღვის ამ კეთილ საქმეში წვლილი: საქართველოს სპორტსახკომს, თბილისის სპორტკომიტეტს, თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტს, გაზეთ „ლელოს“, თვით პატიმრებსაც კი, რომლებიც, გაგონილი ამბით შეძრულები, საკუთარი დანაზოგით დაეხმარნენ საწოლს მიჯაჭვულ ახალგაზრდას... უკვე ვწერდით, რომ გიორგი რთველიაშვილს ბინაზე ეწვია საქართველოს კათოლიკოს — პატრიარქი; უწმინდესი და უნეტარესი ილია II, რომელმაც ლოცვა-კურთხევა აღავლინა ავადმყოფის გამოჯანმრთელებისთვის.

შემდეგ („სარბიელი“ უკვე წერდა ამის შესახებ) ასოციაცია „იყალთო XXI“-ის შუამდგომლობით სოლტ-ლეიკ-სიტის სამედიცინო დაწესებულებამ თავის თავზე აიღო გიგას მკურნალობა, სპონსორობა კი ამერიკის ქართულმა ფირმა „ამირანმა“ იკისრა.

გადამწყვეტ მომენტში გიორგი რთველიაშვილს დიდი მატერიალური დახმარება გაუწია საქართველოს მთავრობამ, რის შემდეგაც გახდა შესაძლებელი გიგას ამერიკაში გამგზავრება. ჩვენი გაზეთიც შეძლებისდაგვარად ცდილობს და, გამოჯამრთელებამდე პენსია დაეუნიშნეთ ყოფილ მოჭიდავეს.

დღეს ყველაფერი ამერიკელ მკურნალთა ოსტატობაზეა დამოკიდებული.

ისევ სსრკ ნაკრებში?

„სოვეტსკი სპორტის“ 31 მაისის ნომერში დაბეჭდილი ინფორმაციიდან შევიტყვეთ, რომ მილანის საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა კავშირის ძიუდოისტთა ნაკრების შემადგენლობაში იასპარეზა სოხუმელმა ვლადიმერ დგებუაძემ.

ცხადია, კითხვებიც გაჩნდა. რატომ გამოვიდა ქართველი ფალავანი საბჭოთა ნაკრების სახელით? რა სამომავლო გეგმები აქვს ვლადიმერ დგებუაძეს? რა პოზიცია უჭირავთ ქართული ძიუდოს მესვეურთ?

გუშინ დავუკავშირდით საქართველოს ძიუდოს ფედერაციას, საიდანაც, მართალია, კონკრეტული პასუხი ვერ მივიღეთ, მაგრამ როგორც გვითხრეს, ფედერაციის უახლოეს სხდომაზე ამ საკითხს საგანგებოდ განიხილავენ.

ყურადღება!

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას განზრახული აქვს მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოსცეს სქელტანიანი ალბომი. ეს იქნება ერთგვარი ფოტომატიანე, რომელშიც აისახება ქართული სპორტის ისტორიის ყველა მნიშვნელოვანი მომენტი.

ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, ფოტორეპორტიორებს, სპორტსმენებს, მათი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს, სპორტის გულშემატკივრებს ვთხოვთ მოგვაწოდონ მათ ხელთ არსებული მეტნაკლებად საყურადღებო ფოტოსურათები და საარქივო მასალები.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ცაგერის ქუჩა №6, ბინა 30. ტელეფონი: 38-39-93.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია

პროგრამა მინიმუმი და მაქსიმუმი

ზესტაფონის „მარგვეთის“ ჭირსა თუ ლხინზე სასაუბროდ მივმართეთ მის მთავარ მწვრთნელს ჯონი ჯანელიძეს.

— ბატონო ჯონი, რა არის თქვენი გუნდის ძლიერი მხარე?

— ჩვენს გუნდს გამოკვეთილი ძლიერი მხარე ჯერ არა აქვს. ვმუშაობთ სათამაშო დისციპლინის ასამაღლებლად. გვინდა ფეხბურთელებს საქმის მიმართ ჰუმარიტი პროფესიული დამოკიდებულება გამოვუმუშაოთ. ძალას არავის ვატანთ, დღედაღამე ბაზაზე ყოფნას არ ვაიძულებთ. ყველამ, დაძალების და შეხსენების გარეშე, უნდა იცოდეს თავისი საქმე.

— ბაზა ახსენეთ. გაქვთ კი იგი?

— პირობები მართლაც ცუდი გვაქვს, ისეთი უმაღლესი ჯგუფის გუნდს რომ არ შეეფერება, თუმცა ამას ტრაგედიად არ ვხდით. მთავარია, რომ ვარჯიშს ვახერხებთ და საქმეს ვაკეთებთ. ისე კი, გუნდს საკუთარი აღდგენითი ცენტრი რომ აქვს, ამას რა სჯობს.

— წმინდა საფეხბურთო მხარეზე გკითხავთ. ფეხბურთელები მოედანზე ყოველთვის ზუსტად ასრულებენ თქვენს დავალებას?

— სათამაშო დისციპლინა რომ ვახსენე, სწორედ ამას ვგულისხმობდი. „ვარსკვლავიც“ რომ მყავდეს, თუ დავალებას არ შეასრულებს, არ ვათამაშებ.

— „მარგვეთის“ გულშემატკივარზე რას გვეტყოდით?

— ზესტაფონელი მაყურებლის უმრავლესობის მიმართ მადლობის მეტი რა გვეთქმის, თუმცა მათშიც არიან ვაიგულშემატკივრები. მათ გამო სამტრედიაში გასვლითი მატჩის დროს სახელიც გაგვიტყდა და დავჯარიმდით კიდეც.

— მსაჯობით კმაყოფილი ხართ?

— მსაჯობის დონე გასულ წლებთან შედარებით საგრძნობლად ამაღლდა. „მარგვეთის“ თამაშებში ტენდენციური მსაჯობა არ ყოფილა. თუკი ცალკეული შეცდომა მოსვლიათ, ეს, ალბათ, გამოუცდელობის გამო.

— და ბოლოს, რას გეგმავთ?

— წელს ჩვენი პროგრამა მინიმუმია უმაღლეს ჯგუფში ადგილის დამკვიდრება, პროგრამა მაქსიმუმი კი ათეულში მოხვედრა. მოხარულნი ვიქნებით, თუკი საქართველოს ნაკრების ღირს ფეხბურთელებს აღვზრდით.

ესაუბრა
ილია ბაბუნაშვილი.

ეროვნული ჩემპიონატი

XIV ტური

ალაზანი — ამირანი 1:0
ცხუმი — ოდიში 5:1
ბათუმი — მერცხალი 1:0
კოლხეთი-13 — დილა 2:0
ქუთაისი — კოლხეთი 2:1
გორდა — სანავარდო 4:0
გურია — მზიური 5:2
იბერია — სამგურალი 4:0
მარგვეთი — ივერია 4:1
სულორი — შევარდენი-06 2:3

XV ტური

ოდიში — ალაზანი 3:1
მერცხალი — ცხუმი 2:0
დილა — ბათუმი 2:0
კოლხმთი — კოლხეთი-13 1:3
სანავარდო — ქუთაისი 0:1
მზიური — გორდა 0:0
სამგურალი — გურია 0:1
ივერია — იბერია 0:2
შევარდენი-06 — მარგვეთი 3:1
ამირანი — სულორი 3:0

გია ახალაძის ფოტო

„შევარდენი-06“ — „მარგვეთი“ 3:1

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 ივნისისათვის

		თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1.	იბერია (თბილისი)	14	11	3	0	34:4	36
2.	გურია (ლანჩხუთი)	14	9	4	1	21:10	31
3.	ბათუმი (ბათუმი)	14	8	2	4	20:15	26
4.	ოდიში (ზუგდიდი)	14	7	2	5	25:16	23
5.	ცხუმი (სოხუმი)	14	7	2	5	24:16	23
6.	კოლხეთი-13 (ფოთი)	14	7	2	5	22:15	23
7.	ქუთაისი (ქუთაისი)	14	7	2	5	22:23	23
8.	მარგვეთი (ზესტაფონი)	13	6	4	5	18:18	20
9.	გორდა (რუსთავი)	14	5	4	5	23:15	19
10.	შევარდენი-06 (თბილისი)	14	5	3	6	25:19	18
11.	დილა (გორი)	14	5	3	6	21:22	18
12.	სამგურალი (წყალტუბო)	13	5	2	6	13:15	17
13.	მერცხალი (ოზურგეთი)	14	5	1	8	13:21	16
14.	ალაზანი (გურჯაანი)	14	5	1	8	14:25	16
15.	მზიური (ფალი)	14	4	4	6	13:19	16
16.	კოლხეთი (ხობი)	14	4	3	7	17:18	15
17.	სულორი (ვანი)	14	4	3	7	19:26	15
18.	ამირანი (ოჩამჩირე)	14	3	4	7	16:22	13
19.	სანავარდო (სამტრედია)	14	3	3	8	12:32	12
20.	ივერია (ხაშური)	14	3	2	9	7:28	11

სნაიპერები და... წესრიგის დამრღვევნი

ჩემპიონატში ჯერჯერობით ყველაზე მეტი — 9 გოლი გაიტანა ქუთაისელმა მ.ხუნდაძემ. რვა გოლი გაიტანა ხუთმა ფეხბურთელმა: მ.ყაველაშვილმა („იბერია“), ა.კიურჯიევმა („ბათუმი“), ო.კორღალიძემ („გურია“), დურ.თვალაბეიშვილმა („სანავარდო“) და მ.შეროზიამ („ოდიში“). კიდევ 5 მოთამაშეს 7-7 ბურთი აქვს გატანილი.

მიმდინარე ჩემპიონატში ყველაზე მეტი დარღვევა აქვთ: „კოლხეთს“ (3 გაძევება, 7 გაფრთხილება), „გორდას“ (1 გაძევება, 8 გაფრთხილება), „ამირანს“ (1 გაძევება, 7 გაფრთხილება), „კოლხეთი-13“-ს (1 გაძევება, 7 გაფრთხილება)...

„მეტეხი“ კრუიფის სამშობლოში

ორიგინალური პრიზით დაბრუნდნენ ჰოლანდიიდან თბილისის „მეტეხის“ ფეხბურ-თელი გოგონები, რომლებმაც ქალაქ ვეს-ტჰანის საკლუბო გუნდის საიუბილეო ტურნირში იასპარეზეს და მეორე ადგილი დაიკავეს.

— ჩვენს გარდა ტურნირში მონაწილეობდნენ იტალიის „ვილანოვა“, მოსკოვის „სპარტაკი“ და მახაჩკალთა 61 გუნდი,— გვითხრა „მეტეხის“ მწვრთნელმა თეიურ თვალჭრელიძემ, — შეჯიბრება თავისებური რეგლამენტით ჩატარდა: 12-წუთიან თითო ტაიმს ვთამაშობდით და ორ დღეში 10 შეხვედრა გავმართეთ. ადგილობრივ კლუბთან ერთადერთი მატჩი წავაგეთ და, სბოლოოდ, მეორე ადგილზე გავედით.

— ვინ მიგიწვიათ ამ შეჯიბრებაზე?

— ორი წლის წინ ჰოლანდიაში გასტროლებზე იყო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „რუსთავი“, მისმა ხელმძღვანელებმა გაიცნეს ტურნირის ერთ-ერთი ორგანიზატორი, რომელმაც ვესტზანელები თბილისში გეესტუმრებიან. კონტაქტები დავამყარეთ აგრეთვე იტალიის „ვილანოვასთან“, რომელმაც თავის მხრივ იტალიის ტურნირზე მიგვიპატიჟა. აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიელებმა ბევრი რამ იციან საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, ქართულ სპორტზე, ჩვენს ფეხბურთზე. ჩვენც ჩავიტანეთ მასალები და ფოტოხელოვნები.

— მოსკოვის „სპარტაკმა“ როგორ ითამაშა?

— მოსკოველებმა მეოთხე ადგილი დაიკავეს, სამაგიეროდ მალაზიაში ხელმრუდობით „გამოიჩინეს თავი“. საქმეში ტურნირის ორგანიზატორები ჩაერივნენ, თორემ...

— ბოლოს „მეტეხის“ ძმადგენლობაც გაგაცანით.

— ჩვენს გუნდში თამაშობდნენ შორენა მჭედლიშვილი, სვეტა კანტიევსკაია, ნუნუ სალდაძე, მაია ბაისაგულოვა, ინგა დიდელია, ნანა შუბითიძე, მარინა მოვსესიანი, ეკა კაკურიძე, ქრისტინა იუხანოვა, ნანა გედობაზიანი, მაყვალა ამზოევა, ეკა შეშბერიძე, მაია მინდიაშვილი, ირინა დენციუკი და ნანა გიუნაშვილი

ესაუბრა ვაჟა ზოზენაშვილი.

„კამარა“ ფრთებს შლის

შეიქმნა მოფარიკავეთა პირველი პროფესიული კლუბი

უჭირს ქართულ სპორტს. იგი ფაქტიურად ბლოკადაშია მოქცეული. ახლა გვმართებს სპორტსმენების მიმართ განსაკუთრებული მზრუნველობის გამოჩენა. უთუოდ მისაბაძია სააქციო საზოგადოება „ინტურისტმშენ“ — „კამარას“ მაგალითი, რომელსაც სათავეში უდგას სპორტის დიდი ქომაგი თამაზ ლეჟავა. სწორედ მისი მცდელობით შეიქმნა საქართველოში პირველი პროფესიული საფარიკაო კლუბი „კამარა“.

„ინტურისტმშენის“ მშენებლებმა უმოკლეს ვადებში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი კომპლექსი გადასცეს სპორტსმენებს. კლუბზე მზრუნველობის სურვილი გამოთქვეს აგრეთვე „საქგეოლოგიამ“ და გაზეთმა „რესპუბლიკამ“. ახალმა კომპლექსმა ბინა დაიდო ორხევის ტერიტორიაზე, სადაც ორგანიზებულად ხდება სპორტსმენთა გადაყვანა მათთვის სპეციალურად გამოყოფილი ავტობუსით. კომპლექსის სრულყოფა დღესაც გრძელდება — მიმდინარეობს დახურული საცურაო აუზის მშენებლობა. „ინტურისტმშენი“. ამგვარ საქმიანობაში ახალბედა არ არის. სწორედ მას მიანდეს ფოთში წყალსათხილამურო კომპლექსის მომზადება წლევანდელი ევროპის ჩემპიონატისათვის.

კლუბის პრეზიდენტის თამაზ ლეჟავას და სპორტული დირექტორის, წარსულში ცნობილი მოფარიკავის გია აბაშიძის მცდელობით „კამარამ“ გამოცდილი მწვრთნელები და პერსპექტიული სპორტსმენები შემოიკრიბა. კლუბის ღირსებას იცავენ რესპუბლიკის წამყვანი რაპირისტები, მათ შორის — ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი ვლადიმერ აფციაური. მიუხედავად არსებობის მცირე დროისა, „კამარამ“ უკვე თქვა თავისი სიტყვა: საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე, რომელიც ახლახან თბილისში გაიმართა, კლუბის წარმომადგენლებმა პირველობაში სამივე საპრიზო ადგილი დაიკავეს და, ცხადია, გუნდურ ტურნირშიც გაიმარჯვეს.

სპორტკლუბი ოცდაათამდე სხვადასხვა ასაკის მოფარიკავეს აერთიანებს და მწვრთნელების გ.აბაშიძისა და ა.აფციაურის აზრით, უმცროსი თაობა უმოკლეს დროში ტოლს არაფერში დაუდებს გამოცდილ კოლეგებს. ჯანსაღი კონკურენცია უთუოდ წაადგება საქმეს.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით ქართველი სპორტსმენები არ მონაწილეობენ საკავშირო შეჯიბრებებში. ამიტომ „კამარას“ მესვეურები ცდილობენ გააღრმაონ ურთიერთობები უცხოელ კოლეგებთან. უახლოეს ხანში კლუბის სტუმრები იქნებიან გერმანიის ქალაქების — მიუნხენისა და რეიკლინჰაუზენის მოფარიკავეები, ხოლო თვით კამარელები მიწვეულნი არიან გერმანიაში, ისრაელსა და ავსტრიაში. უკვე დაწყებულია მოლაპარაკება საფრანგეთისა და იტალიის ანალოგიურ კლუბებთან. ამის გარდა, „ინტურისტმშენი“ აპირებს წარჩინებულ სპორტსმენთა მივლინებას საზღვარგარეთის სპორტულ სასწავლებლებში.

იმედია, საქართველოს ფარიკაობის დამოუკიდებელი ფედერაცია და მისი ახალარჩეული პრეზიდენტი, წარსულში ცნობილი მოფარიკავე არჩილ გოგელია მხარში ამოუდგება „კამარას“, იზრუნებს მსგავსი კლუბების შექმნისთვის. „კამარას“ მაგალითი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენი ფარიკაობის პროფესიონალიზაციის გზაზე.

გიორგი კვარაცხელია,
ზაზა ქორიძე,
გიორგი ნანაძე.

გია ახალაძის ფოტო

გია კუპრეიშვილი

პირველი კომერციული

ვაკის პარკში, საჩოგბურთო კლუბ „მუხის ფოთოლის“ კორტებზე დასრულდა ვაჟთა პირველი კომერციული ტურნირი. მასში მონაწილეობა მიიღო რვა ჩოგბურთელმა. გათამაშდა პრიზები ერთეულთა და წყვილთა შეჯიბრებაში. მართალია, ამინდი „ყველა ღონეს ხმაობდა“, რათა ტურნირისათვის ხელი შეეშალა, მაგრამ შეჯიბრება, რომელმაც ექვს დღეს გასტანა, მაინც საინტერესო გამოდგა. პირველ ტურში გამარჯვებულმა ოთხეულმა ასპარეზობა წრიული სისტემით განაგრძო. შეხვედრები ასე დამთავრდა: რაზმაძე-კუპრავა — 6:1, 6:4; რაზმაძე-ისლამოვი — 6:0, 6:3; კუპრავა-კუპრეიშვილი — 3:6, 5:7; კუპრავა-ისლამოვი — 6:1, 4:6, 6:4, კუპრეიშვილი-ისლამოვი — 6:0, 6:3. ბოლო დღეს ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ ლევან რაზმაძე და გია კუპრეიშვილი, რომელთაც ფაქტობრივად ფინალი ითამაშეს და პირველი და მეორე ადგილების ბედი გადაწყვიტეს. გაიმარჯვა 20 წლის გია კუპრეიშვილმა — 7:6, 6:4 და ტურნირის მთავარი პრიზი მოიპოვა. მეორე ადგილზე გავიდა ლევან რაზმაძე, მესამეზე — მიხეილ კუპრავა. აღსანიშნავია, რომ გია კუპრეიშვილმა, თავის ძმასთან ალექსანდრესთან ერთად გაიმარჯვა წყვილთა შეჯიბრებაშიც. ძმებმა ფინალში სძლიეს დავით ისლამოვს და ნიკა იმნაძეს (6:1, 6:0).

— ლევან რაზმაძემ და გია კუპრეიშვილმა ადრე დაანებეს თავი თამაშს, მაგრამ გამოთქვეს სერიოზული ვარჯიშისა და აქტიური სპორტისკენ შემობრუნების სურვილი, — გვითხრა საჩოგბურთო კლუბ „მუხის ფოთოლის“ პრეზიდენტმა გოგი გახოკიძემ. — პერსპექტივაც ისახება. ჩვენ კონტაქტები გვაქვს ბელგიელ ლეიბორისტთა ჩოგბურთის ფედერაციასთან. ახლა მოყვარულთა გუნდით უნდა ვეწვიოთ მათ, მომავალში კი პროფესიონალებს წავიყვანთ. ასე რომ, დამოუკიდებლად ვაღებთ ევროპის „ფანჯარას“. რაც შეეხება თბილისის ტურნირს, იგი ყოველწლიურად გაიმართება.

ილია სურგულაძე.

საჩუქარი, რომელმაც დაამშვენა იუბილე

ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო ტურნირი უნიკალური მოვლენაა ჭადრაკის ისტორიაში. მას არა ჰყავს წინამორბედი, თავად კი ამდიდრებს საჭადრაკო ცხოვრებას. ასე ფიქრობს ცნობილი დიდოსტატი იური ავერბახი, რომელსაც ამას წინათ მოსკოვში შევხვდი.

მართლაც ასეა. იყო დრო, როცა ქალის საჭადრაკო შესაძლებლობები ვაჟების ღიმილს იწვევდა. მაგრამ თანდათან შეხედულება შეიცვალა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში საზოგადოებამ სასიამოვნო სენსაციოდ აღიქვა ამერიკელი მოჭადრაკე ქალის ნელი შოვალტერის გამარჯვება (5:2) ამხანაგურ მატჩში იმდროინდელ მსოფლიო ჩემპიონ ემანუელ ლასკერთან, რომელიც მას უმხედროდ ეთამაშებოდა. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში შემოღებულ იქნა ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. პირველმა ჩემპიონმა, ლეგენდარულმა ვერა მენჩიკმა დაჯერა ქვეყანა ქალის მდიდარ საჭადრაკო შესაძლებლობებში. მენჩიკს დამარცხებული ჰყავს მსოფლიოს ექსჩემპიონი მაქს ეივე (სამჯერ), სამუელ რეშევსკი, ზიგფრიდ ზემიში, მირ სულტან-ხანი და სხვები. პირველი ჩემპიონის გზა დიდი წარმატებით განაგრძეს ჯერ ნონა გაფრინდაშვილმა, მერე მაია ჩიბურდანიძემ, დებმა — ჟუჟა, იუდით პოლგარებმა, პია კრამლინგმა და სხვებმა. დღეს უკვე არავის უკვირს მოჭადრაკე ქალის მონაწილეობა და გამარჯვებაც კი ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში. მაგრამ ნონას საიუბილეო ტურნირი ახალი ხილია შეჯიბრებათა ისტორიაში.

თბილისის ჭადრაკის სასახლემ უმასპინძლა ქალ-ვაჟთა პირველ დიდ ტურნირს. სარბიელზე იყვნენ 8 საერთაშორისო დიდოსტატი და 3 საერთაშორისო ოსტატი. ცხადია, უჩვეულო ტურნირი ყურადღების ცენტრში მოექცა.

რა დასამალია, ქართველი გულშემატკივრები დიდი ხანია ოცნებობდნენ ერთ ტურნირში ენახათ ჩვენი სახელგანთქმული დიდოსტატი ქალები და საქართველოს მოწინავე დიდოსტატები და ოსტატები, მითუმეტეს, რომ აქა-იქ გაისმოდა: ვაჟები დიდად უსწრებენ ქალებსო. მაგრამ სხვადასხვა მიზეზით ვერ ხერხდებოდა მათი შეხვედრა. როცა გაირკვა, რომ ნონას საიუბილეო ტურნირზე საზღვარგარეთელი დიდოსტატი ქალები ვერ ჩამოვიდოდნენ, ჩვენმა დიდოსტატმა და საერთაშორისო ოსტატმა ვაჟებმა სიამოვნებით მიიღეს მიწვევა. გულდასაწყვეტია მხოლოდ ის, რომ თავიდან თამაშის სურვილი გამოთქვეს ზურაბ აზმაიფარაშვილმა და ნანა ალექსანდრიამ, მაგრამ, მერე, სტარტის წინ, სხვადასხვა მიზეზით უარი თქვეს. საწყენად დარჩა ისაც, რომ მესამეტურის შემდეგ ბრძოლას გამოეთიშა ნინო გურიელი.

სპორტული ბრძოლის შედეგები (იხ. „სარბიელის“ წინანომერი) მეტყველებს, რომ მეტოქენი დაახლოებით თანაბარი ძალისა იყვნენ. თავიდან რომ გაიმართოს ტურნირი, აღბათ ადგილები სხვანაირად განაწილდება. დარწმუნებული ვარ, ნონა დაძლევდა მღელვარებას (რაც ბუნებრივად მოჰყვა მის იუბილარობას) და ადვილად არავის დაუთმობდა გამარჯვებას.

ტურნირში გათამაშებული 58 პარტია ცხადყოფს, რომ მოჭადრაკეები მიმზიდველ, შინაარსიან, შემოქმედებით ბრძოლას აწარმოებდნენ. ზოგიერთ პარტიაში იყო „დიდოსტატური ყაიმი“, თორემ ყველა შეხვედრაში მოჭადრაკეებს თავიდანვე უხდებოდათ საინტერესო სადებიუტო, მიტელშპილისა და ენდშპილის პრობლემების დაძლევა. არავის აკლდა სადებიუტო ცოდნა, ამიტომ ზოგ პარტიას თეორიული მნიშვნელობაც აქვს.

მოჭადრაკის შემოქმედებითი კრედო თვალნათლივ ჩანს მიტელშპილში, ესე იგი შუა თამაშში, სადაც ძირითადად წყდება ბრძოლის ბედი. სწორედ აქ დიდოსტატი ქალები ტოლს არ უდებდნენ თავიანთ ოპონენტებს. საკმარისია გავიხსენოთ ნონასა და მაია ჩიბურდანიძის პარტიები ზურაბ სტურუასთან, ანდა ქეთევან არახამიასი — იგორ ეფიმოვთან. ენდშპილშიც დიდ გამომგონებლობას აჩენდნენ მოჭადრაკე ქალები. საილუსტრაციოდ დავასახელებ ქეთევან კახიანის მოგებას გენადი ზაიჩიკთან, შეხვედრას ბუხუტი გურგენიძესთან, რომელიც ყაიმით დამთავრდა 81-ე სვლაზე.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლება იმ შემოქმედებით ჰიდილზე, რომელიც ტურნირში მიმდინარეობდა. ის ღრმაშინაარსიანი და საინტერესო რომ იყო, იქიდანაც ჩანს, რომ ჟურნალი „ექსპრეს-შახმატი“ (მოსკოვი) ძთლიანად ბეჭდავს პარტიებს. ამ პარტიების გარჩევა-ანალიზის მიხედვით შესაძლებელია იმსჯელო თანამედროვე მოჭადრაკე ქალთა თამაშის შინაარსობრივ დონეზე, კიდევ განჭვრიტო მომავალი.

თქმა არ უნდა, ჩვენი მოჭადრაკე ვაჟები მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ. გია გიორგაძის და ზურაბ სტურუას გამარჯვება არ იყო მოულოდნელი. ორივე მოჭადრაკე წარმატებით იბრძვის საერთაშორისო დიდოსტატის წოდების მოსაპოვებლად. თავმოყვარე ზურაბს, ცხადია, არ სურს ჩამორჩეს თავის მეუღლეს (დიდოსტატ ნინო გურიელს) და აღბათ მალე აისრულებს განზრახულს. მიზანთან ახლოსაა გია გიორგაძეც, რომელმაც მდიდარი გამოცდილება შეიძინა ამას წინათ გარი კასპაროვის სეკუნდანტად ყოფნისას მის მატჩში ანატოლი კარპოვთან (ნიუ-ორკი, ლიონი, 1990 წ.).

კარგი შთაბეჭდილება დაგვიტოვა ახალგაზრდა დიდოსტატ ლაშა ჯანჯღავას თამაშმა. მხოლოდ მას არ წაუგია პარტია.

ტურნირს ლაზათი შემატა პირველი ქართველი დიდოსტატის ბუხუტი გურგენიძის მონაწილეობამ. იგი ყველაზე ხნოვანი მონაწილე გახლდათ და, ცხადია, ბოლომდე ვერ გაუძლო დამუხტულ ბრძოლას. სამაგიეროდ, მისი თამაში ორიგინალური, მისთვის ჩვეული გონებამახვილობით გამორჩეული იყო. მეტი შეეძლოთ ნანა იოსელიანს, გენადი ზაიჩიკს, იგორ ეფიმოვს. სხვათა შორის, იგორს ბოლო ორი პარტია რომ არ წაეგო, კიდევ უფრო მაღალ ადგილს დაიკავებდა.

საიუბილეო ტურნირს მრავალგზის დაუბრუნდებიან სპეციალისტები და ისტორიკოსები, სტატისტიკის მოყვარულნიც. მათთვის საინტერესო იქნება, რომ ქალთა შორის მიკრო-ტურნირში გაიმარჯვეს ნონამ და მაია ჩიბურდანიძემ — 2,5-2,5 ქულა (4-დან), ვაჟთა ტურნირში — ზურაბ სტურუამ -3,5 ქულა (5-დან). ქალებიდან ვაჟების წინააღმდეგ საუკეთესოდ ითამაშა მაია ჩიბურდანიძემ — 3,5 ქულა 6-დან, ვაჟებიდან ქალების წინააღმდეგ — გია გიორგაძემ — 4 ქულა (5-დან).

ერთი სიტყვით, ნონას საიუბილეო ტურნირი მოეწონა ყველას — მის მონაწილეებსა და ფართო საზოგადოებრიობას. ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ ამას წინათ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, დიდოსტატმა ბუხუტი გურგენიძემ განაცხადა: გაისიდან, ვფიქრობთ, საქართველოს ქალთა და ვაჟთა ტრადიციული ჩემპიონატების შემდეგ გავმართოთ ქალვაჟთა ტურნირი საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის სახელისთვის. აქვე დავძენთ, რომ მსგავსი აბსოლუტური პირველობა მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში დღემდე არ გამართულა.

თენგიზ გიორგაძე
საერთაშორისო არბიტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

მაგრამ ამას პრინციპული მნიშვნელობა, ცხადია, არა აქვს. მთავარი ის გახლავთ, რომ თანამედროვე ოლიმპიადების ორგანიზატორებმა რომანტიკული ლეგენდა გააცოცხლეს და მას ახალი სული შთაბერეს. თუმცა, ამ ისტორიას უფრო გულდაგულ თუ გადავსინჯავთ, სხვა საინტერესო ამბებსაც მივაგნებთ. აი, თუნდაც იმავე ფილიპიდზე, რომელსაც საუკეთესო სტაიერის სახელი ჯერ კიდევ მარათონის ბრძოლამდე ჰქონდა დავარდნილი. მისთვის საბედისწერო შეტაკებამდე რამდენიმე დღით ადრე იმავე მილტიადს ფილიპიდი სპარტაში გაუგზავნია მოლაპარაკების მიზნით. 220-კილომეტრიანი მთიანი ტრასა ანტიკური სამყაროს ამ უძლიერესმა სტაიერმა 24 საათში გაირბინა. სულ კი ათენიდან სპარტამდე და უკან „მოგზაურობას“ მან ოთხი დღე მოანდომა. ეს, წმინდა სპორტული თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, უფრო დიდი მიღწევა იყო, ვიდრე 42 კილომეტრზე რბენა, მაგრამ მარათონის გამარჯვებას სხვა ხიბლი ჰქონდა და ისტორიასაც სწორედ ეს შემორჩა.

ფილიპიდის ტრაგიკულ-ჰეროიკულმა ბედმა საბაბი მისცა ფრანგ ფილოლოგს მიშელ ბრეალს თანამედროვეობის პირველი ოლიმპიადის წინ წერილი გაეგზავნა პიერ დე კუბერტენისთვის, რომელშიც წერდა: „თუ ათენის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი აღადგენს მარათონელი ჯარისკაცის ლეგენდარული რბენის მარშრუტს, მე სიამოვნებით დავაწესებ ჯილდოს გამარჯვებული სპორტსმენისთვის“. კუბერტენმა ეს წინადადება გააცნო ბერძნებს და მათაც სიხარულით დაუჭირეს მხარი საინტერესო იდეას. აი, ასე, 2386 წლის შემდეგ, სულ შემთხვევით გაცოცხლდა გმირული ისტორიის ერთი შესანიშნავი ფურცელი. მარათონელი ჯარისკაცის სახე პირველი ოლიმპიადის დღეებში (რბენა ბერძენმა ფოსტალიონმა სპირიდონ ლუისმა მოიგო) მასობრივი ფსიქოზის საბაბი გახდა ათენში, მაგრამ ეს უკვე ცალკე საუბრის თემაა.

თანამედროვე მძლეოსნობა მდიდარია ეპოქალური მნიშვნელობის შედეგებით. მათზე ლაპარაკი, ცხადია, უსასრულოდ შეიძლება. ამიტომ ამ წერილში მხოლოდ ერთზე შევაჩერებთ ყურადღებას და მეტი ბარძაყის სახსრების [illegible] კილოგრამიანი დატვირთვა ჰქონია. ელექტრო-გამომთვლელი მანქანების მონაცემებით კი ბიმონის ის ნახტომი იდეალურს ზედმიწევნით მიახლოებული იყო, რის გამოც მისი ტექნიკური გაუმჯობესება თურმე პრაქტიკულად შეუძლებელია.

არც ერთი შედეგი არ არის შესწავლილი ისე ზუსტად, პედანტურად, თანაც უმაღლეს მეცნიერულ დონეზე,

„ადამიანი-ლეგენდა“. რობერტ (ბობი) ბიმონი, რომლის მსოფლიო რეკორდი სიგრძეზე ხტომაში — 890 სმ დღემდე ურყევი დგას.

როგორც ბიმონის 8 მეტრი და 90 სანტიმეტრი. მაგრამ რა მერე? სახელი და შარავანდედი მხოლოდ შედეგს ხვდა, თავად ბიმონი კი, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა გვეჩვენოს, მისმა ფანტასტიკურმა შედეგმა „თამაშგარე მდგომარეობაში“ მოაქცია, მისგან კარგა ხანს რეკორდის გაუმჯობესებას თუ არა, გამეორებას მაინც ელოდნენ, მოითხოვდნენ, მაგრამ ეს, როგორც მეცნიერებმა ახსნეს, თითქმის შეუძლებელი ყოფილა. და მოხდა ის, რაც ყოველ ნაბიჯზე ხდება სპორტში — მეოცე საუკუნის ყველაზე დიდი რეკორდის „ავტორს“ ზურგი შეაქციეს, თანდათან დავიწყეს...

მძლეოსნობას საქართველოში არა აქვს ისეთი მდიდარი ისტორია,



მონრეალის XXI ოლიმპიადის ერთ-ერთი საუკეთესო მძლეოსანი, 400 და 800 მეტრზე რბენაში გამარჯვებული ალბერტო ხუანტორენა ფინიშთან.

დამაჯერებლობისთვის მეცნიერებას დავიმოწმებთ.

ბიომექანიკოსებს საგულდაგულოდ აქვთ გამოთვლილი მძლეოსნობის სხვადასხვა სახეობაში ზღვრული შედეგები. უფრო დიდ დატვირთვას, მათი მონაცემების თანახმად, ვერც კუნთები უძლებს და ვერც ძვლები. სიგრძეზე ხტომაში ასეთი ზღვარი მეცნიერების აზრით, 8 მეტრი და 96 სანტიმეტრია, 6 სანტიმეტრით მეტი, ვიდრე მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის (1968 წ), ამერიკელი რობერტ (ბობი) ბიმონის შედეგი იყო. გამოდის, რომ თავისი სარეკორდო ცდის დროს, რასაც შემდგომში სპეციალისტებმა (და ჟურნალისტებმაც) XXI საუკუნის ნახტომი უწოდეს, ბიმონი კრიტიკულ მიჯნაზე ყოფილა. იმ სარეკორდო არეკნის მომენტში ამერიკელი მძლეოსნის მენჯროგორიც, ვთქვათ, ჰიდაობას, ტანვარჯიშს, კრივს, ცხენოსნობას. მაგრამ მან მაინც მოიკიდა ფეხი ჩვენში, იმიტომ რომ სპორტის თითქმის ყველა სახეობაში მონაწილეობს გარკვეული დოზით და, როგორც საწყისი „ფუნდამენტი“, ყოველ მათგანზე გავლენას ახდენს.

ამ მონაწილეობასთან დაკავშირებით რამდენიმე საინტერესო ფაქტის გახსენება შეიძლება. მძლეოსნობით აქვს დაწყებული გზა დიდ სპორტში ბევრ ცნობილ ჩემპიონსა თუ რეკორდსმენს. სხვა ქვეყნის სპორტსმენებზე რომ არაფერი ვთქვათ, ალბათ ჩვენი სახელოვანი კალათბურთელის ოთარ ქორქიას გახსენებაც კმარა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

რუბრიკას უძღვება ნოდარ გუგუშვილი

კინაღამ მოედანს გადაასცილა

წლევანდელ სპორტულ სეზონში მსოფლიო მასშტაბით თუ რამე მნიშვნელოვანი მოხდა, ერთ-ერთი პირველი ფინელი შუბისმტყორცნელის სეპო რეტის მსოფლიო რეკორდებია, თანაც რა რეკორდები. თუკი ადრე მძლეოსნობის ამ სახეობაში ყველაზე საუკეთესო შედეგი 90 მეტრსა და 98 სანტიმეტრს უდრიდა, ახლა მას რეტის წყალობით, თითქმის მთელი 6 მეტრი მოემატა. ასეთი მკვეთრი პროგრესი, თანაც დღევანდელობაში, საკვირველი რამ გახლავთ.

სამოიდე კვირის წინათ, სეპო რეტის მიერ პირველი მსოფლიო რეკორდის დამყარების შემდეგ (91,98მ) ვწერდით, რომ 1984 წელს გერმანელი უვე ჰონის შედეგით (104,80მ) შეშინებულმა მსოფლიო მძლეოსნობის მესვეურებმა (შეგახსენებთ, შუბის ტყორცნა საერთოდ საფეხბურთო მოედანზე ტარდება) უსაფრთხოების მიზნით, ტყორცნის სიშორის შესამცირებლად შუბის კონსტრუქცია შეცვალეს. 800 გრამიან იარაღისთვის წონა არ მოუმატებიათ, მაგრამ მისი სიმძიმის ცენტრი 4 სმ-ით წინ წასწიეს და ამით შუბის აეროდინამიკური თვისებები გაუარესდა. მისი ფრენის სიგრძე ერთბაშად ოც მეტრზე მეტით შემცირდა. თან ასპარეზზე გამოჩნდა მტყორცნელთა ახალი ტალღა, რომელთაც უკეთ აუღეს ალღო ახალი მოდიფიკაციის შუბს. თვითონ სპორტსმენები ამბობენ, რომ შედეგის მისაღწევად ძველ იარაღს უფრო დახვეწილი ტექნიკა ჭირდებოდა, ახალს კი — მეტი ძალაო.

ალბათ ეს ორივე თვისება ახასიათებს სეპო რეტის, 1987 წლის მსოფლიო ჩემპიონს. სხვაგვარად იგი ასეთ ბრწყინვალე შედეგს ვერ აჩვენებდა. მან ფინეთის ქალაქ პუნკალაიდანში შუბი 96,96 მეტრზე ტყორცნა. ეტყობა, მძლეოსნობის „მამებს“ ისევ გაუწნდათ თავსატეხი. სხვათა შორის რეტის რეკორდი რიგით მეჩვიდმეტეა, რომლებიც საერთოდ ფინელებმა დაამყარეს შუბის ტყორცნაში.

აქვე გთავაზობთ მსოფლიო რეკორდების ზრდის ცხრილს ბოლო ხუთ წელიწადში.

ახალი შუბის გამოყენების საწყის პერიოდზე არაფერს ვამბობთ, რადგან, თავადაც მიხვდებით, იმ დროს ყოველი წარმატებული ტყორცნა ახალი მსოფლიო რეკორდი იყო.

86,74 მ. კლაუს ტაფელმაიერი (გერ). კომო. 21.02.1986 წ.

87,66 იან ჟელეზნი (ჩეხოსლოვაკია). ნიტრა. 31.05.1987.

89,58 სტივ ბაკლი (დიდი ბრიტანეთი). სტოკჰოლმი. 2.07.1990.

89,66 იან ჟელეზნი. ოსლო. 14.07.1990.

90,98 სტივ ბაკლი. ლონდონი. 20.07.1990.

91,98 სეპო რეტი (ფინეთი). სიმფოკა. 6.05.91.

96,96 სეპო რეტი. პუნკალაიდანი. 2.06.91.

ექს-რეკორდსმენის კომენტარი ცხელ კვალზე

— „ეს მართლაც ფანტასტიკაა“ — ასეთი იყო ინგლისელი სტივ ბაკლის (ყოფილი მსოფლიოს რეკორდსმენის) პირველი რეაქცია სეპო რეტ[illegible]ზე.

რეიტერის საგენტოს კორესპონდენტის შეკითხ[illegible] ბაკლმ უპასუხა: „რეტის ყოველთვის უდიდეს სპორტსმენად ვთვლიდი, მაგრამ უნ[illegible] [illegible]ტყუდეთ, არ მეგონა თუ მას ფიზიკური ძალის ესოდენ დიდი პოტენციალი გააჩნდა“.

ბაკლმ აღიარა, რომ რეტის, რომელმაც ერთი თვის წინ დაამხო მისი მსოფლიო რეკორდი, კიდევ უფრო შორს შეუძლია ტყორცნა. მაგრამ ვერ წარმოედგინა, თუ იგი ერთბაშად თითქმის 5 მეტრით გაუმჯობესებდა ძველ მიღწევას.

კითხვაზე, შედგება თუ არა მათი უშუალო შეხვედრა უახლოეს ხანში, 22 წლის ბაკლმ თქვა: „მე ჯერ არაფერი ვიცი რეტის გეგმების შესახებ. მაგრამ ვფიქრობ, ჩვენ მოგვიწევს ბრძოლა მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატზე, ტოკიოში. იქ გამარჯვებისათვის საჭირო იქნება შუბის დღევანდელ რეკორდზე უფრო შორს ტყორცნა. ჩემი მიზანია ამის გაკეთება. ეს კი გამარჯვებას ნიშნავს.

სჯობს პროფესიონალებს შევეჯიბრო

შედგება მესამე რაუნდი?

ოურიდიოული ფაკულტეტის მეორეკურსელს, 26 წლის ზაურ ცხადაძეს უკვე საკმაოდ საინტერესო სპორტული ბიოგრაფია აქვს. ხუთიოდე წლის წინ იგი საუკეთესო... ხელბურთელად აღიარეს საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე. შემდეგ კლასიკურ ჭიდაობაში გამოდიოდა და რკინიგზელ სპორტსმენთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ახლა კი, ვინ არ იცის, ზაური მკლავჭიდში ასპარეზობს და სწორედ ამ სახეობაში მაღწია ყველაზე დიდ წარმატებებს — გახდა მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი, ახლახანს კი ციურიხში — ევროპის ჩემპიონიც.

ეს მეორე შეჯიბრება, მარტო ცხადაძის გამოსვლას თუ აღვნიშნავთ, ალბათ სალაპარაკოდაც არ ღირს, იმდენად დიდ იყო ზესტაფონელი გოლიათის უპირატესობა. პირწმინდად დამარცხებული მისი მეტოქეები გაცბუნებულნი აქნევდნენ თავს. ამიტომ ცოტა უფრო ძველ ამბავს, მსოფლიო ჩემპიონატს დავუბრუნდებით.

— ზაურ, თქვენ ორჯერ შეხვდით მსოფლიოს საუკეთესო მკლავჭიდელს, ამერიკელ ჯონ ბრზენკს და ორჯერვე დამარცხდით, ევროპაში კი ყველას იოლად მოერიეთ...

— ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებს ერთმანეთს ვერ შევადარებ. ამერიკაში ნამდვილ პროფესიონალთა ტურნირი იყო. ამას ხელს უწყობდა შეჯიბრების ორგანიზაციაც, მონაწილეებს თავს გვევლებოდნენ, ევროპის ჩემპიონატი კი მოყვარულთა შეჯიბრება გახლდათ. რამდენადაც მახსოვს, მისი მონაწილეებიდან არც ერთი არ ყოფილა მსოფლიო ჩემპიონატზე.

— ბრზენკთან შეჯიბრებისას როგორღა იყო საქმე?

— ბრზენკს ორჯერ შევხვდი: მოსკოვში და ამერიკაში, მსოფლიო ჩემპიონატზე. მოსკოვში შეხვედრისას მკლავჭიდის ტექნიკისა არაფერი ვიცოდი და იოლად მომიგო. შემდეგ ისიც და მისი ამხანაგებიც ხალისით გვიხსნიდნენ მკლავჭიდის ტექნიკას. ამერიკელებმა ათდღიანი ვარჯიშიც მოგვიწყვეს და ეს ძალიან გამომადგა. ცოტაც და... თუმცა მოდი, ვიდეო ვნახოთ.

ზაურმა ტელევიზორი ჩართო და ვიდეოფირზე ალბეჭდილი მისი და ბრზენკის ჭიდილი მიჩვენა. „აი, ნახეთ, ჩემი პირველი შეტევა. ბრზენკმა, ხედავთ, ხელი ასწია და წინ გაიცურა. ეს წესის დარღვევაა. მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონი ჩემს ასეთ უეცარ შეტევას არ ელოდა და ითმოიმაც მოიქცა ახე. მაშინ მე ამას ვერ მივხვდი. ვიდეოჩანაწერი რომ ვნახე, მერელა გახდა ნათელი ყველაფერი. ბრზენკს ძალიან გამძლე მარჯვენა და დიდი გამოცდილება აქვს და მომდევნო ცდაზე უკვე აშკარად მაჯობა. იმედი მაქვს, კიდევ შევხვდებით... სხვათა შორის, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ დაინტერესებულმა მონაწილეებმა საოთოაოდ მოშოსინჯეს მკლავის ძალა. ყველანი დავამარცხე, ბრზენკი კი ალარ გამკარებია“.

— ზაურ, როგორ ვარჯიშობთ, საიდან აიღეთ წვრთნის მეთოდიკა...

— არსაიდან. თუ ამერიკელთა გაკვეთილებს არ ჩავთვლით, დანარჩენს თვითონ მივხვდი, ან მეტოქეებს ვაკვირდებოდი. ყველაზე კარგი ვარჯიში ისაა, მეტოქეს რომ ეჯიბრები.

— კლასიკურ ჭიდაობაში იმდენ წარმატებას ვერ მიაღწევდით, რამდენსაც, ასე ვთქვათ, თქვენი მონაცემებით იმსახურებდით. რა არის ამის მიზეზი?

— ალბათ ისევ ჩემი სიზარმაცე... შრომა მკლავჭიდსაც სჭირდება, მაგრამ კლასიკურ ჭიდაობაში გაცილებით მეტია საჭირო. ახლა კი მოსამზადებელ პერიოდში დღეში ორსაათიანი ვარჯიში მყოფნის.

— კიდევ რა სჭირდება მკლავჭიდს?

— კარგი საჭმელი...

— მე უკეთ გეტყვით, — სიცილით ჩაერია საუბარში ზაურის მეუღლე, ჭალბატონი მაკა, — კარგი ხარჩო, საერთოდ — წვნიანი. ზოგჯერ ფაფასაც ვუმზადებ ხოლმე. შეჯიბრების მოახლოებისას ხიზილალასაც ვაჭმევ. — დაამთავრა მცირე „კულინარიული“ მონოლოგი ზაურის ყველაზე ერთგულმა გულშემატკივარმა.

— ღვინოს თუ სვამთ, ან თუ ეწევით?

— არ ვეწევი. თუ კარგი ღვინო შემხვდა...

— რით ხსნით იმ ამბავს, რომ საქართველოს გუნდმა ასეთი დიდი წარმატება მოიპოვა ევროპის ჩემპიონატში და ყველა — თხუთმეტივე მეტოქეს აჯობა.

— ალბათ, ამის ნიჭი გვაქვს, ისევე, როგორც, ვთქვათ, ჭიდაობისა. დარწმუნებული ვარ, რომ უვარჯიშებელი ქართველი კაცი ასევე უვარჯიშებელ სხვა ეროვნების ადამიანს რომ შეეჯიბროს, დაამარცხებს. მკლავჭიდი ქართველი კაცის სპორტია.

— ნახეთ ფილმი მკლავჭიდზე სტალონეს მონაწილეობით?

— თვითონ სტალონეც ვნახე. ციურიხში იყო ჩამოსული რაღაც საქმეზე და დარბაზშიც შემოიხედა. შეჯიბრებაში კი, ცხადია, არ გამოსულა.

— ზაურ, შემოდგომაზე ისრაელში მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება. ალბათ იქაც გამოხვალთ საქართველოს ნაკრებთან ერთად.

— გადაჭრით ვერ გეტყვით. ისრაელში, რამდენადაც ვიცი, მოყვარულთა მსოფლიო ჩემპიონატი უნდა გაიმართოს, მე კი გული უფრო პროფესიონალებისაკენ მიმიწევს. ეს შეჯიბრება ოქტომბერში ჩატარდება, ისევ ამერიკაში. ვეცდები, მონაწილეობა მივიღო...

— და ბრზენკი დაამარცხოთ?

— ამასაც ვეცდები.

ესაუბრა **გიორგი პავლიაშვილი.**

სპორტის მოყვარულებმა იცან, რომ ციურიხში, ევროპის ჩემპიონატზე ზაურ ცხადაძის გარდა შესანიშნავად გამოვიდნენ მისი თანაგუნდელები. ევროპის ჩემპიონი გახდა თბილისელი ჭეშმარიტ მერაბიშვილი (86კგ), ვერცხლის მედლები დაიმსახურეს თბილისელმა გელა ბეწუაშვილმა, მესტიელებმა ლერი საღლიანმა და ერეკლე გურჩიანმა, ხოლო თბილისელი ზაზა გუგუნიშვილი, საჩხერელი კობა თოდაძე და მესტიელი გია გვიჩიანი მესამე ადგილებზე გავიდნენ, საქართველოს ნაკრებმა კი ყველას აჯობა გუნდურ ჩათვლაში.

მითხარი, ვინ არის შენი აღმზრდელი

თანამედროვე სპორტში, რომელმაც განვითარების მაღალ დონეს მიაღწია, ერთ-ერთი უპირველესი როლი ეკისრება მწვრთნელს, აღმზრდელს, პედაგოგს. მისი პროფესიული ოსტატობა დიდად განსაზღვრავს ათობით და ზოგჯერ ასობით ადამიანის ბედსაც კი. ამიტომ მწვრთნელების საკითხი მუდამ მწვავე და საჭირბოროტო საკითხია. სწორედ ამ პრობლემის გადაჭრას ისახავს მიზნად საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტი, ამ მიზანს ემორჩილება მთელი მისი საქმიანობა.

— ფაკულტეტი ხუთი წლის წინათ შეიქმნა და ახლა ამ პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგებს ვაჯამებთ, — ამბობს ფაკულტეტის დეკანი თორნიკე სანებლიძე. — ჩამოყალიბების პერიოდი უკან დარჩა და უკვე შეიძლება ჩვენი საქმიანობა რეალურად შევაფასოთ. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სპორტსახკომთან, განათლების სამინისტროსთან, სპორტულ საზოგადოებებთან და უწყებებთან თანამშრომლობა ნაყოფიერი გამოდგა. ჩვენი ფაკულტეტის მსმენელები იყვნენ სპორტსკოლების ხელმძღვანელები, სპორტის სხვადასხვა სახეობის მწვრთნელები, უმაღლესი სასწავლებლების ფიზაღზრდის მასწავლებლები, სპორტული ბაზების დირექტორები და სხვები. მათგან ბევრმა წარმატებით გაიარა კურსები და კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ მუშაობას განაგრძობს. მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, ზოგიერთის პროფესიული დონე აშკარად არ შეესაბამებოდა დღევანდელ მოთხოვნებს.

— როგორ სრულდებოდა თქვენი რეკომენდაციები?

— ჯერ ერთი, სპორტის სპეციალისტთა პროფესიული დონის გამოვლენის ერთიანი ორგანო და სისტემა ჩვენ არ გვქონია. როგორც წესი, ატესტაციას ატარებდა სპორტსახკომი, ჩვენ კი კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს ვაწყობდით. ამგვარად, გამოდიოდა, რომ ყველა ცალ-ცალკე აკეთებდა თავის საქმეს, მდგომარეობის რეალური სურათი კი ხელთ არ გვქონდა. მაგალითად, ოფიციალური მონაცემებით, მძლეოსნობაში 455 მწვრთნელი გვყავს, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები კი 128-მ გაიარა. დანარჩენები არ გამოცხადდნენ, რაც ძალაუნებურად იწვევს დაეჭვებას მათს პროფესიულ მომზადებაში. ყოველივე ამის შესახებ ვაცნობეთ ხელმძღვანელობას, მაგრამ არაფერი შეცვლილა. ყველა ის მწვრთნელი დღემდე თავის ადგილზე მუშაობს, თუმცა ამ მუშაობას არავითარი შედეგი არ მოქვს. მოდით, ვკითხოთ ამ ხალხს, მასაც რამდენი კარგი მძლეოსანი აღუზარდეს რესპუბლიკას? სამწუხაროდ, თითქმის ასეთივე მდგომარეობაა სპორტის ბევრ სხვა სახეობაში.

— თქვენ რა მიგაჩნიათ ამის მიზეზად?

— მხოლოდ უკონტროლობა. ადრე, როცა ეს ფაკულტეტი არ გვქონდა, ჩვენს სპეციალისტებს კვალიფიკაციის ასამაღლებლად რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, სხვა ქალაქებში გზავნიდნენ. ახლა მდგომარეობა შეიცვალა — უკვე გვაქვს შესაბამისი სამსახური, საქმეში ჩაებნენ საქართველოს საუკეთესო სპეციალისტები. საკვირველია, სხვები ჩვენთან ჩამოდიან, რომ კვალიფიკაცია აიმაღლონ, ისწავლონ, ცოდნა გაიმდიდრონ, ჩვენებს კი არ უნდათ სწავლა... არადა, ამ არაკვალიფიციური მწვრთნელების შენახვის დიდი თანხები ხმარდება. აღარას ვამბობ იმ ზიანზე, რასაც ისინი თავიანთი არაკომპეტენტურობით საერთო საქმეს აყენებენ.

— თქვენი აზრით, როგორ შეიძლება მდგომარეობა გამოსწორდეს?

— პირველ ყოვლისა, უნდა შეიქმნას სპორტის სპეციალისტთა ატესტაციისა და კვალიფიკაციის ამაღლების ერთიანი სისტემა. ამასთან ყველაფერი ეს ერთი ორგანოს ხელში უნდა იყოს თავმოყრილი. უნდა დაწესდეს უმკაცრესი კონტროლი, რათა ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტები გამუდმებით იმაღლებდნენ პროფესიულ ოსტატობას. სამუშაოდ უნდა მივიღოთ მხოლოდ ისეთი მუშაკები, რომელთა შომზადებაც დღევანდელ მოთხოვნებს შეეფერება. ისეთი ხალხისაგან, ვისაც არავითარი სარგებლობა არ მოიქვს, ბოლოს და ბოლოს უნდა გავთავისუფლდეთ.

— საქართველოს სპორტულ მოძრაობაში ახალმა სიომ დაბერა. მოახდენს თუ არა ეს გავლენას იმ პრობლემაზე, რომელსაც თქვენ შეეხეთ?

— უდავოდ. ჩვენ ამის დიდი იმედი გვაქვს. საქართველოს სპორტის დეპარტამენტს, მის ახალ ხელმძღვანელობას განზრახული აქვს დიდი ყურადღება დაუთმოს ხალხის წრთობა-გაჯანსაღებას, ფიზიკური კულტურის განვითარებას. ისახება ფართო პროგრამა. იცვლება სპორტის სახეობების ფედერაციების სტრუქტურა, ამიერიდან ისინი დამოუკიდებელნი იქნებიან. ამგვარად, ფედერაციამ თვითონ უნდა შეინახოს თავი და ამიტომ ცხადია, ფულს ტყუილად არ გადაყრის. ცუდი სპეციალისტი ყველასათვის ზედმეტი ბარგია. ასე რომ, ჩვენი რეკომენდაციების გარეშე აქ ფონს ვერავინ გავა. ვიმედოვნებთ, რომ ფედერაციებთან მჭიდრო კავშირი გვექნება. სხვათა შორის, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, ამიერიდან რესპუბლიკაში კადრების მომზადებას, კვალიფიკაციის ამაღლებასა და ატესტაციის, სპეციალისტთა ცოდნისა და პროფესიული მომზადების განსაზღვრის საქმეს ერთი ორგანიზაცია უხელმძღვანელებს, მოცემულ შემთხვევაში — ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. ეს უთუოდ ხელს შეუწყობს პრობლემის გადაჭრას.

უნდა აღინიშნოს, რომ ფაკულტეტის საქმიანობის სფერო საკმაოდ ვრცელია და იგი მთლიანად ემორჩილება ერთ კეთილშობილ მიზანს — ხალხის ჯანმრთელობის განმტკიცებას. ფაკულტეტთან გაიხსნა კურსები, რომელიც ამზადებს სპორტული მასაჟის, საერთო ფიზმომზადების, რიტმული ტანვარჯიშის, ათლეტიზმის, უშუს, ჯიუჯიცუს და სხვა სპეციალისტებს. მსურველი ძალიან ბევრია.

— განსაკუთრებით პოპულარულია სპორტული მასაჟი, — ამბობს კურსების დირექტორის მოადგილე ელიზბარ კორაშვილი. — ჯგუფები ჯერ მხოლოდ მეორე წელია მუშაობს, მაგრამ ამ უაღრესად საჭირო პროფესიით დაინტერესება დღითი დღე იზრდება. მსურველთა სიმრავლე ალბათ იმითაც აიხსნება, რომ ჩვენს კურსებზე საუკეთესო სპეციალისტები ასწავლიან: დოცენტები თამარ თხილავა და ჯანა ბესმერტნაია, სამკურნალო ფიზკულტურის კათედრის უფროსი მასწავლებელი იზა რევია, მანუალური თერაპიის გამოცდილი სპეციალისტი გიორგი ნადარეიშვილი. ისინი უდიდესი პასუხისმგებლობით, მართლაც შემოქმედებითად ეკიდებიან თავიანთ საქმეს. მათი ლექციები სცილდება ვიწრო სპეციალიზაციის ფარგლებს. ცდილობენ საერთო თვალსაწიერი გაუფართოონ მსმენელებს. სხვათა შორის, ის, ვისაც საშუალო თუ უმაღლესი სპორტული ან სამედიცინო განათლება აქვს, სპორტული მასაჟის სპეციალისტის დიპლომს იღებს, სხვებს კი ვაძლევთ ცნობას კურსების გავლის შესახებ. ყველას შეუძლია იმუშაოს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ-სამკურნალო დარგებში, სამეურნეო-ანგარიშიან გაერთიანებებში, საცხოვრებელ ადგილებში მოქმედ საბავშვო სპორტულ კლუბებში და სხვაგან. გარდა წმინდა სპორტული საკითხებისა, ლექციები მოიცავს მასაჟის სხვა სახეებსაც: სამკურნალოს, ჰიგიენურს, კოსმეტიკურს, აღმოსავლურს, თვითმასაჟს... ბევრი ჩვენი კურსდამთავრებული უკვე წარმატებით იყენებს თავის ცოდნას პრაქტიკულ საქმიანობაში.

ზალვა ზალოლაშვილი

ლარი ბერდი

საუკეთესო საუკეთესოთა შორის



ლარი ბერდი

„მაიკლ ჯორდანი საუკეთესო კალათბურთელია NBA-ში და, რაღა თქმა უნდა, მთელ მსოფლიოში!

მთელი დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება ირვინგ ჯონსონის მსგავსი გამთამაშებელი!

მე ვიზიარებ აზრს, რომ ჩარლზ ბარკლის მსოფლიოში ვერც ერთი ფორვარდი ვერ შეედრება!

და რომ ვერსად მსოფლიოს ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ ცენტრის ისეთ მოთამაშეებს, როგორებიც არიან პატრიკ იუინგი, აკიმ ოლაჯუანი და დეივიდ რობინსონი!

დიახ, ასეა. მაგრამ თუ აუცილებელი გახდება ამ სუპერვარსკვლავთა შორის ავარჩიო ერთი, ერთადერთი მოთამაშე, როგორც NBA-ს თავისებური სიმბოლო, მაშინ მე ლარი ბერდს დავასახელებ. ბერდს, რომელიც მძიმე ავადმყოფობის შემდეგ დაუბრუნდა მოედანს, მაგრამ კვლავაც უწინდებურად აცვიფრებს და აღაფრთოვანებს მაყურებელს“.

ეს სიტყვები ამერიკის კალათბურთის ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა მწვრთნელმა, სახელგანთქმული „ბოსტონ სელტიკსის“ ხელმძღვანელმა კრის ფორდმა მარტის თვის ბოლო შაბათს წარმოთქვა, როცა ავადმყოფობით გამოწვეული ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ლარი ბერდი კვლავ გამოვიდა თავისი გუნდის სასტარტო შემადგენლობაში. 34 წლის თავდამსხმელის სარბიელზე გამოჩენას უზომო აღტაცებით შეხვდა არა მარტო „სელტიკსის“ თაყვანისმცემელთა ბანაკი, არამედ კალათბურთის ყველა ჭეშმარიტი დამფასებელი ამერიკის ყველა კუთხეში.

მართლაც, არ შეიძლება პატივი არ სცე ამ მამაც, კალათბურთის უსაზღვროდ მოყვარულ და ერთგულ ადამიანს. შარშანდელი სეზონი მისთვის უიღბლო იყო. მთელი წელიწადი ტრავმები მოსვენებას არ აძლევდა. მაგრამ იგი, მიუხედავად ზურგის მწვავე ტკივილისა, მაინც გამოდიოდა მოედანზე და თავდაუზოგავად იბრძოდა. ასეთ ულმობელ რიტმს ბოლოს თვით ამ შეუპოვარმა კალათბურთელმაც ვერ გაუძლო. იგი იძულებული გახდა NBA-ს რეგულარული ჩემპიონატის შვიდი უკანასკნელი მატჩი გამოეტოვებინა. იმაში, რომ ლარის მართლაც ძალზე უჭირდა, წუთითაც არავის შეჰპარვია ეჭვი.

მის დაბრუნებას ელოდნენ და ლარი დაბრუნდა მოედანზე, როცა ბოსტონელთა შემადგენლობაში სათასოსერიის პირველ მატჩში „ინდიანა პეისერსის“ წინააღმდეგ გამოვიდა. იგი 41 წუთის განმავლობაში თამაშობდა (48-დან), 21 ქულა დააგროვა, შეასრულა 12 შედეგიანი გადაცემა და ფარქვეშ 12 ორთაბრძოლა მოიგო. იმ დროს, როცა ანგარიში იყო 110:110, სწორედ ლარი ჩაუდგა თამაშს სათავეში და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა — 127:120. მატჩის შემდეგ მთელი ღამე ლარიმ... საავადმყოფოში გაატარა.

— მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრეც კი არავინ იცოდა, ლარი ითამაშებდა თუ არა, — თქვა შეხვედრის შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ბოსტონის კლუბის პრეს-ატაშემ ჯეფ ტვისმა, — ზურგი უწინდებურად სტკივა, მისთვის აუცილებელია ფიზიოთერაპიული პროცედურები, ურომლისოდაც ძლიერ ტკივილს ვერაფრით გაიყუჩებს. მე და ლარი დიდი ხნის მეგობრები ვართ და ზოგჯერ მგონია, რომ ყველაფერი ვიცი მის შესახებ. მაგრამ ყოველდღე სულ უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ ეს ასე არ არის...

ლარი ბერდს, ისევე როგორც NBA-ს სხვა სუპერვარსკვლავებს, გარანტირებული კონტრაქტი აქვს. ამიტომ იგი უკლებლივ, უკანასკნელ ცენტამდე ღებულობს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას, თუნდაც სეზონის მანძილზე ტრავმის გამო არც ერთ მატჩში არ ითამაშოს. ამისთვის საყვედურს არავინ ეტყვის. სწორედ ასე იყო ამ ორი წლის წინ, როცა ბერდი ორივე ფეხის ტრავმების გამო იძულებული შეიქნა თითქმის მთელი ჩემპიონატი გამოეტოვებინა. მაგრამ მას არ სურდა ამგვარი „უსაქმურობა“ დიდხანს გაეგრძელებინა და ყველაფერს აკეთებდა, რომ სარბიელზე რაც შეიძლება მალე დაბრუნებულიყო. „როცა ფულს გიხდიან, უნდა იმუშაო კიდეც“ — ხშირად იმეორებს ლარი. მუშაობაში კი მას მართლაც ვერავინ აჯობებს. ლარის არ უყვარს ვინმეს წინაშე ვალში დარჩენა.

— მეორე მატჩში ითამაშებს? — ჰკითხეს მის შესახებ ტვისს.

— ახლა ამას ზუსტად ვერავინ გეტყვით. ეს ალბათ მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრე გვეცოდინება, — მიუგო ტვისმა.

„სელტიკსის“ გულშემატკივრებმა და ჟურნალისტებმა იციან, რომ გუნდში არ უყვართ ბერდის ჯანმრთელობაზე ლაპარაკი, ცდილობენ გული არ ატკინონ მეგობარს, ყოველნაირად იცავენ მას ზედმეტი ნერვული სტრესებისაგან. ლარი გრძნობს მათს ყურადღებას და ეს ამხნევებს, ძალას მატებს იმ გუნდის სამსახურისთვის, რომელიც მისთვის დიდი ხანია მშობლიურად იქცა (მისი დებიუტი ბოსტონის კლუბში 1979 წელს შედგა).

ზუსტად ერთი საათით ადრე მეორე მატჩის დაწყებამდე ლარი თავის გასახდელში გამოჩნდა. პარტნიორები მხურვალედ მიესალმნენ სახელოვან კალათბურთელს. ბოსტონელებმა მოუგეს ეს სერია „ინდიანა პეისერსს“ საერთო ანგარიშით 3:2, თუმცა ბევრი ექსპერტი „სელტიკსს“ წაგებას უწინასწარმეტყველებდა. ყველაფერი ბოსტონში გამართულმა მეზუთე შეხვედრამ გადაწყვიტა. ეს იყო დრამატიზმით სავსე მატჩი, რომელშიც მთავარი პარტია მართლაც ბრწყინვალედ შეასრულა ლარი ბერდმა. „სელტიკსმა“ გაიმარჯვა ანგარიშით 124:121 და „პლეიოფის“-ს მეორე წრეში გავიდა. ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ ეს იყო „სელტიკსის“ საუკეთესო მატჩი სეზონში.

მაგრამ ბოსტონელთა გუნდის წარმატებები ამით ამოიწურა. მეოთხედფინალის სერია „სელტიკსმა“ წააგო NBA-ს შარშანდელ ჩემპიონ „დეტროიტ პისტონსთან“ საერთო ანგარიშით 2:4. მეოთხე მარცხი ბოსტონელებმა საკუთარ მოედანზე იწვნიეს და წლევანდელი ჩემპიონატის ფინალი მათს გარეშე ჩატარდა.

ლარის, ცხადია, გული დასწყვიტა ამ მარცხმა. მაგრამ, მეორე მხრივ, მას საშუალება მიეცა ბოლოს და ბოლოს მიხედოს თავის ჯანმრთელობას. ავადმყოფობა ძალზე სერიოზულია და ჭირურგიული ჩარევა გარდაუვალია. ექიმებმა დიდი ხანია დაადგინეს ხერხემლის მალების საგრძნობი გადანაცვლება. დღეს თვით ყველაზე გამოცდილი სპეციალისტებიც კი ვერ იტყვიან, დაუბრუნდება თუ არა ოპერაციის შემდეგ ბერდი სარბიელს. რას ფიქრობს ამის შესახებ თავად ლარი, ეს არავინ იცის.

ერთი რამ კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას: თუ ლარის სპორტული კარიერა დამთავრდა, ამერიკის კალათბურთი ამით ძალიან ბევრს დაკარგავს. გულშემატკივართა სურვილია, რომ ეს რაც შეიძლება გვიან მოხდეს, რომ ლარი კიდევ დიდხანს აცვიფრებდეს და აღაფრთოვანებდეს მაყურებელს...

სოსო დათიკაშვილი,
„სარბიელის“ კორესპონდენტი აშშ-ში.
ნიუ-იორკი.

ამ კაცს ნერვები არა აქვს...



1968 წელს, როცა „დიდმა ტეხასელმა“ ჯორჯ ფორმენმა მექსიკის ოლიმპიადის ოქროს მედალი მოიგო, ხუთი წლის პიუსტონელი ბიჭის — ევან პოლიფილდისთვის ყველაზე დიდი გასართობი ეზოში თამაში იყო. განსაკუთრებით ბურთის „თრევა“ უყვარდა. თამაშის დროს ხანდახან ისეთ ელემენტს „მოიგონებდა“, იტყოდით, რომელიმე გამოცდილი კალათბურთელისაგან უსწავლიაო. სწრაფი იყო, მოხერხებული, ჯიუტი. ზოგჯერ მასზე დიდი ბიჭებიც ვერ ართმევდნენ ბურთს ხელიდან და მაშინ საქმე მუშტებამდე მიდიოდა. ევანდერი ბევრჯერ დაბრუნებულა შინ სახედალურჯებული. პატარა იყო, ჯერ იმდენი ღონე სად ჰქონდა, ერეოდნენ.

ეტყობა, ამანაც განსაზღვრა მისი შემდგომი ბედი. რვა წლისამ კრივის სექციაში დაიწყო სიარული. თანდათან კრივი მის უდიდეს გატაცებად იქცა. მამა იძულებული გახდა ევანდერის კალათბურთელობაზე ოცნებას გამოთხოვებოდა. ახლა ძნელი სათქმელია, რა დაკარგა ამით კალათბურთმა, მაგრამ, კრივმა რომ მოიგო, ეს ყველასთვის აშკარაა.

ევანდერმა მალე მოიპოვა ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მოკრივის სახელი. სამოყვარულო რინგზე ჩატარებული 162 შეხვედრიდან მან მხოლოდ 17 წაგო და საშუალო წონაში აშშ-ის მოკრივეთა შორის პირველი ადგილი დაიკავა. ამ შეხვედრებში, თვით ევანდერის სიტყვით, ყველაზე მეტი გულისტკივილი ბოლო ორთაბრძოლამ მოუტანა...

ახლოვდებოდა 1984 წლის ოლიმპიური თამაშები. ევანდერმა შესანიშნავი სტილით ჩატარა შეჯიბრება, ყველა მეტოქეს მოუგო და ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებშიც შეიყვანეს. ლოს-ანჯელესში მას 81 კგ-მდე კატეგორიაში უდავო გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ. ოლიმპიური ტურნირის ნახევარფინალამდე პოლიფილდი ადვილად მივიდა. ახალზელანდიელ კევინ ბერისთან ფინალის სგზერისთვის გამართულ ბრძოლაშიც დიდი უპირატესობა მის მხარეს იყო. მეორე რაუნდის მიწურულს ევანდერის მეტოქე ნოკაუტში აღმოჩნდა, მაგრამ... გამარჯვება სწორედ მას მიაკუთვნეს... იუგოსლავიელმა რეფერიმ გრიგორი ნოვიჩიჩმა დასკვნა, რომ პოლიფილდმა ბოლო დარტყმა სასტვენის შემდეგ მიაყენა მეტოქეს. ამერიკელ მოკრივეს დისკვალიფიკაცია მისცეს, ბერი კი, რომელიც გონს ვერ მოვიდა, საკაცით გაიყვანეს დარბაზიდან. ახე დარჩა პოტენციური ჩემპიონი მესამე ადგილას. აღსანიშნავია, რომ პოლიფილდს არავითარი პროტესტი არ გაუცხადებია: იგი თავს დანაშავედ გრძნობდა.

ოლიმპიადის დამთავრებისთანავე ევანდერმა ხელი მოაწერა თავის პირველ პროფესიულ კონტრაქტს. მოკრივის კარიერაში ახალი ეტაპი მართლაც კარგად დაიწყო. ევანდერმა თერმეტი შეხვედრიდან რვა მოიგო, ხოლო დეიტ კუავასთან ურთულეს ბრძოლაში ქულებით გამარჯვებამ ქვემძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონობა მოუტანა. სპეციალისტებმა ერთხმად აღიარეს ევანდერ პოლიფილდი უპირველეს მოკრივედ: მაყურებელს იზიდავდა ამ სწრაფი, ტექნიკური, მტაცე, შესანიშნავი აღნაგობის მქონე ათლეტის ბრძოლის ლამაზი მანერა. შემდეგ პოლიფილდი მძიმე წონაში გადავიდა და იქაც გამარჯვებას გამარჯვებაზე იხვეჭდა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მაიკლ დოკის დამარცხების შემდეგ ევანდერს ასახელებდნენ მაიკ ტაისონის — უკვე მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ყველაზე სახიფათო მეტოქედ.

— თუ ვინმე დამარცხებს ტაისონს, მხოლოდ პოლიფილდი, — ამტკიცებდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ლარი ჰოლმსი. — ევანდერს შეუძლია მეტოქე დაჯაბნოს სისწრაფით და სიზრიანობით. თვით ყველაზე კრიტიკულ ვითარებაშიც კი იგი არ კარგავს სიმშვიდეს და საღი განსჯის უნარს. აი, ამით აჯობებს იგი მეტიჩარა ტაისონს.

ჯერჯერობით ისინი რინგზე არ შეხვედრიან ერთმანეთს, მაგრამ პოლიფილდი იმედს არ კარგავს, რომ ადრე თუ გვიან ეს მოხდება. ახლა ეს იმედი უფრო რეალური გახდა. შარშან, 25 ოქტომბერს, პოლიფილდმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, როცა მესამე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა ჯეიმს „ბასტერ“ დუგლასი. ერთი შეხედვით, პრეტენდენტის იოლი გამარჯვება თითქმის მოულოდნელი ჩანდა, მაგრამ, თავად პოლიფილდის აზრით, ეს მისი მრავალი წლის დაძაბული ვარჯიშის შედეგია.

— მე ბევრი ამქვეყნიური სიამე მოვიკელი, რადგან ვიცი, რომ კრივი ქარაფშუტობას არავის აპატიებს. ჩვენ მძიმე სამუშაო გვაქვს და მას მთელი არსებით უნდა მიეცე, — ამბობს ევანდერ პოლიფილდი, რომელიც თავისი კოლეგებისაგან განსხვავებით, მუდამ გამოირჩევა თავშეკავებულობითა და კორექტულობით.

სულ ახლახან პოლიფილდმა მატჩი მოუგო ჯორჯ ფორმენს და პირველად დაიცვა ჩემპიონის ტიტული. ეს გამარჯვება მოწმობს, რომ მოკრივე ერთგულია თავისი სიტყვისა და მზად არის ბრძოლისათვის. ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ექსპერტები ვარაუდობდნენ. უახლოეს ხანში ევანდერი ტაისონს შეხვდება.

მოამზადა
გიორგი ქორქია.

კალათბურთი

NBA-ს ჩემპიონატი. დასავლეთის კონფედერაცია. ფინალი. „ლოს-ანჯელეს დეიკერსი“ — „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი“ — 42 (111:106, 98:109, 106:92, 116:95, 84:95,91:90). აღმოსავლეთის კონფედერაცია. ფინალი. „ჩიკაგო ბულლზი“ — „დეტროიტ პისტონსი“ — 4:0 (94:83, 105:97, 113:107, 115:94).

ძალოსნობა

ევროპის ჩემპიონატი. ვლადისლავოვო (პოლონეთი). 75კგ. 1. ასოკანი (რუმინეთი) — 350 (157,5+192,5); 2. რსტოიჩევი (ბულგარეთი) — 345 (150+195); 3. ფკასუ (სსრკ) — 345 (152,5+192,5). 82,5კგ. 1. ა.ორაზდურდიევი (სსრკ) — 375 (172,5+202,5); 2. ბბრატოიჩევი (ბულგარეთი) — 360 (165+195); 3. სბულუტი (თურქეთი) — 360 (160+200). 90კგ. 1. ი. ჩაკაროვი (ბულგარეთი) — 390 (180+210); 2. ს.ზავადა (პოლონეთი) — 387,5 (177,5+210); 3. აეროგლუ (თურქეთი) — 355 (162,5+192,5). 100კგ. 1. ასადიკოვი (სსრკ) — 405 (185+220); 2. ვტრეგუბოვი (სსრკ) — 392,5 (180+212,5); 3. ბსტეფანოვი (ბულგარეთი) — 372,5 (170+202,5). 110კგ. 1. ააკოევი (სსრკ) — 420 (185+235); 2. ბბასსიკი (პოლონეთი) — 392,5 (182,5+210); 3. ასანი (უნგრეთი) — 372,5 (165+207,5). 110კგ. ზევით. 1. ლტარანენკო (სსრკ) — 447,5 (200+247,5); 2. მნერლინგერი (გერმანია) — 422,5 (185+237,5); 3. საფნიაშვილი (სსრკ) — 415 (190+225).

მძლეოსნობა

„მობილ გრან პრი“. სან — ხოსე (აშშ). ვაჟები. 100მ. ჯეფ უილიამსი — 10,40. 200მ. ლეროი ბარელი — 20,22. 400მ. სტივ ულიამსი — 45,28. 3000მ. რუმენ რეინა — 7.46,82; გერი სტაინსი — 7.47,20; მეტ გოუსტო (ყველა აშშ) — 7.49,98. 110 თარჯრბენი. რეინალდო ნემენა — 13,47. სიგრძე. მაიკლ პაუელი (ყველა აშშ) — 8,333. ბადრო. ადე ოლუკოიე (ნიგერია) — 65,563; 2. ვოლფგანგ შმიდტი (გერმანია) — 63,323. ჭალები. 100მ. მიშელ ფინი — 11,26; ეიველინ ეშფორდი — 11,27. 800მ. მერიდიტ რეინი — 2.00,30. 1500მ. მერი დეკერ-სლეინი — 4.09,92; 2. პეტისუ ბლამერი — 4.05,94. 100მ თარჯრბენი. ჭეკი ჯოინერ-კერსი — 13,02. 400მ. თარჯრბენი. კიმ ბეტენი — 50,36. სიმაღლე. იოლანდა ჭენრი — 198სმ; 2. ჭეკი ჯოინერ-კერსი (ყველა — აშშ) — 196სმ. ბირთვი. ანტონ კუშერნუსი (გერმანია) — 19,13მ.

გრენადა. საერთაშორისო ტურნირი. 100მ. 1. დენის მიტჩელი — 10,54; 2. კელვინ სმითი (ორივე — აშშ) — 10,56... 5. ბენ ჯონსონი (კანადა) — 10,73. 400მ. 1. როჯერ ბლეკი (დიდი ბრიტანეთი) — 44,79; 2. რობერტო ერნანდესი (კუბა) — 44,98. 400მ თარჯრბენი. უინტროპ გრეჰემი (იამაიკა) — 48,87. 3000მ. ხოსე-ლუის გონსალესი (სსრკ) — 7.57,87. 3000მ. წინაღობებით. პატრიკ სანგი (კენია) — 8.27,15. ჭალები. 100მ თარჯრბენი. ლილიანა ნასტასე (რუმინეთი) — 12,95. შუბი. სილკე რენკი (გერმანია) — 66,40მ.

საერთაშორისო ტურნირი „ექსპო-92“. ვაჟები. 100მ. 1.დენის მიტჩელი — 10,15; 2. კარლ ლუისი — 10,30. 200მ. მაიკლ ჯონსონი — 20,23. 400მ. სტივ ლუისი (ყველა — აშშ) — 44,71. 800მ. პოლ ერენგი — 1.45,69. 1500მ. დეკად კიბეტი (ორივე — კენია) — 3.36,86. 5000მ. ფრენ ო მარა (ირლანდია) — 13.18,82; 2.ჭაბუკი ინდიეკი (კენია) — 13.18,99; 3. დიონ ისოუკაშტრუ (პორტუგალია) — 13.20,48. 110მ. თარჯრბენი. გრეგ ფოსტერი — 13,28. 400მ. თარჯრბენი. დენი პარისი (ორივე — აშშ) — 48,32. 3000მ. წინაღობებით. ფილიან ვან დეიკი (ბელგია) — 8.23,18. ჭოკი. სერგეი ბუბკა — 590სმ. ბედრო. რომას უბარტასი (ორივე სსრკ) — 66,22მ. შუბი. იან ჟელეზნი (ჩეხოსლოვაკეთი) — 87,32მ. ჭალები. 200მ. მერლინ ოტი (იამაიკა) — 22,19. 800მ. ელი ვან დონგენი (ჰოლანდია) — 1.58,36. 400მ. თარჯრბენი. სანდრა ფარმერი — 54,57. სიმაღლე. ჰაიკე ჰენკელი (ორივე — აშშ) — 202სმ. სიგრძე. ჰაიკე დრეგსლერი (გერმანია) — 724სმ.

ჩოგბურთი

საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. პარიზი. „როლან გაროსი“. ერთეულები. ვაჟები. მეოთხედფინალი. ბორის ბეკერი (გერმანია) — მაიკლ ჩანგი (აშშ) — 6:4,6:4,6:2; ანდრე აგასი (აშშ) — იაკობ ჰლასეკი (შვეიცარია) — 63,61,61; ჯონ კორეე (აშშ) — სტეფან ედბერგი (შვეცია) — 6:4,2:6,6:3,6:4.

ჭალები. შტეფი გრაფი (გერმანია) — ნატალი ცოზია (საფრანგეთი) — 6:3,6:2; მონიკა სელეში (უნგოსლავია) — კონჩიტელა მარტინესი (ესპანეთი) — 6:0,7:5. გაბრიელა საბატინი (არგენტინა) — იანა ნოვოტნა (ჩეხეთსლოვაკეთი) — 7:5,6:0; არანტა სანჩესი (ესპანეთი) — მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ) — 6:3,6:2. ნახევარფინალებში ხვდებიან: სანჩესი-გრაფი და სელეში-საბატინი.

რაგბი

საერთაშორისო შეხვედრა. კრაისტჩერჩი (ახალი ზელანდია). „კენტერბიური“ (კრაისტჩერჩი) — სსხკ (ნაკრები) — 73:15

ველოსპორტი

მრავალდღიანი ველორბოლა „ჭირო დ იტალია“. მეცხრე ეტაპი. ბრატა-ფელინო. 229კმ. 1. მასიმო გიროტო (იტალია) — 6:2.13. ცხრა ეტაპის ჯამი. 1. ფრანკო კიოჩოლი (იტალია) — 45:23.41; 2. ბარინო ლეხარეტა (ესპანეთი) — 45:23.42; 3. კლაუდიო კიაპუჩი (იტალია) — 45:24.33.

ფეხბურთი

სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასი. ფინალი. სანტიაგო. განმეორებითი მატჩი. „კოლო-კოლო“ (სანტიაგო, ჩილე) — „ოლიმპია“ (ასუნსიონი, პარაგვაი) 3:0. პირველი მატჩი დამთავრდა ფრედ. საკონტინენტთაშორისო თასის ფინალში შეხვდებიან: „კოლო-კოლო“—„ცრვენა ზვეზდა“ (ბელგრადი).

დრამა „ჟილ ვილნევის“ ტრასაზე

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ავტომრბოლთა მსოფლიო ჩემპიონატის მეზუთე ეტაპზე, რომელიც მონრეალში „ჟილ ვილნევის“ ტრასაზე გაიმართა, ფინიშის წყრიზე გასული ბრაზილიელი ნელსონ პიკე სიხარულს ვერ მალავდა. მინი-რაციაში მას მოესმა თავისი მექანიკოსის ხმა, რომელიც გამარჯვებას ულოცავდა. არადა ამ მომენტისათვის ბრაზილიელი მთელი 57 წამით ჩამორჩებოდა ლიდერს ნაიჯელ მენსელს თავისი „უილიამს-რენოთი“ და ეგონა, რომ ინგლისელმა უკვე დამთავრა რბოლა. მაგრამ როცა ფინიშამდე რამდენიმე ასეული მეტრი იყო დარჩენილი, მენსელის მანქანას დაუზიანდა სიჩქარეების კოლოფი...

ნელსონ პიკეს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ასეთ მოულოდნელ „საჩუქარს“ იგი მართლაც არ მოელოდა. ეს მესამე გამარჯვება იყო მისთვის „ჟილ ვილნევის“ ტრასაზე, მანამდე იგი პირველობდა კანადის „გრან პრის“ გათამაშებაში 1982 და 1984 წლებში.

ეს რბოლა განსაკუთრებით უიღბლო გამოდგა ორი წამყვანი გუნდის — „ფერარისა“ და „მაკლარენის“ პილოტებისათვის. მსოფლიო ჩემპიონი, წლევანდელი გათამაშების პირველი ოთხი ეტაპის გამარჯვეული ბრაზილიელი აირტონ სენა ამჯერად რბოლას 25-ე წრეზე გამოეთიშა. მის „მაკლარენს“ დაუზიანდა კვების ბლოკი, აქვე მას მიაყვა ფრანგი ალენ პროსტი თავისი „ფერარით“. უფრო ადრე მეზუთე წრეზე ავსტრიელი გერპარდ ბერგერის „მაკლარენს“ გაუჩერდა ძრავი, 35-ე წრის შემდეგ კი მაყურებლებში გადინაცვლა ფრანგმა ჟან ალეზიმ („ფერარი“)...

— ეს იყო ძალიან მძიმე დღე ყველა მონაწილეთათვის. წარმოიდგინეთ 26-დან მხოლოდ 10-მა მრბოლმა მიაღწია ფინიშამდე. ეს შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გულდაწყვეტილმა აირტონ სენამ საკვალიფიკაციო რბოლის შემდეგ, როცა იტალელმა რიკარდო პატრეზემ საუკეთესო დრო აჩვენა, ნაიჯელ მენსელი კი მეორე იყო; მართალი გითხრათ, ალარ მქონდა „უილიამსზე“ გამარჯვების იმედი. ასეც მოხდა, საკვალიფიკაციო შეჯიბრების დროს თვით სენამ მესამე ადგილი დაიკავა. იგი ფრთხილად მართავდა თავის მანქანას და რისკის გარეშე გაიარა წვიმისაგან დასველებული ტრასა.

რაც შეეხება ძირითად რბოლას, მენსელმა იგი მეორე პოზიციიდან დიწყო თანგუნელის — რიკარდო პატრეზეს კვალ-დაკვალ, მაგრამ უკვე პირველი მოსახვევის შემდეგ წინ გაიჭრა და დიდი უპირატესობით ლიდერობდა თითქმის მთელ დისტანციაზე. ამასთან, 65-ე წრეზე მან ჯერეს საკეთესო დრო — 1.22,385 (105,579 კმ სთ), რაც მონრეალის ტრასის ახალი რეკორდი გახლავთ.

— პირდაპირ დაუჯერებელი რამ მოხდა. აქამდე, ყველაზე სუსტ წერტილად „მაკლარენში“ სიჩქარეების კოლოფი ითვლებოდა, მაგრამ მექანიკოსებმა დამარწმუნეს, რომ ამჯერად პრობლემები არ მექნებოდა. სამაგიეროდ კოლექტორი გაშიზრდა, — განაცხადა გაღიზიანებულმა სენამ.

მე-40 წრეზე პატრეზეს „უილიამსსაც“ აღმოაჩნდა მცირე ხარვეზი სიჩქარეების კოლოფში, მაგრამ მაინც დამთავრა რბოლა. იგი ამ დღეს ტრავმირებული გამოვიდა, ძლივს ამოძრავებდა კისერს, რომელიც პარასკევს ავარიის დროს დაუზიანდა.

წარუმატებლობის მიუხედავად, აირტონ სენა კარგა ხანს იმყოფებოდა ჟურნალისტების ალყაში. ერთ-ერთ შეკითხვაზე, აპირებს თუ არა მონაწილეობის მიღებას ინდიანაპოლისის რბოლაში, მან ასე უპასუხა:

— გამარჯვების სიხარული ჩემზე ნარკოტიკივით მოქმედებს, ისე მივეჩვიე მოგებას, ამას იოლად ვერ შევეჩვევი. რა ვიცი 4-5 წლის შემდეგ იქნებ ინდიანაპოლისის რბოლებშიც ვცადო ბედი.

თუ სენა უღალატებს ფორმულა 1-ს, ეს არ იქნება პირველი შემთხვევა. ადრე ასეთივე ნაბიჯი გადადგეს და საკმაოდ კარგად „მორგნენ“ ინდიანაპოლისის რბოლას ჯეკი სტიუარტი და ემერსონ ფიტიპალდი.

ბორის მიხაილოვი,
საკდესის მომამზილველი.
სპეციალურად „სარბიელისთვის“.

„კანადის გრან პრის“ შედეგები (69 წრე). ერთი წრის სიგრძე — 4.430მ. საერთო სიგრძე — 305.670კმ. საუკეთესო დრო ერთ წრეზე. ნაიჯელ მენსელი — 1.22,385 (195,579კმ სთ).

1. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ბენეტონი“) — 1:38.51,490; 2. სტეფანო მოდენა (იტალია, „ტირელი“) — ჩამორჩა 31,832წ; 3. რიკარდო პატრეზე (იტალია, „უილიამსი“) — ჩამორჩა 42,217; 4.ანდრეა დე ჩეზარისი (იტალია, „ჯორდანი“) — ჩამორჩა 1.20,210; 5. ბერნარ გაშო (ბელგია, „ჯორდანი“) — ჩამორჩა 1.22,351; 6. ნაიჯელ მენსელი (დიდი ბრიტანეთი; „უილიამსი“) — ჩამორჩა ერთი წრით. 7. პიერ ლუიჯი მარტინი (იტალია, „მინარდი“) — ჩამორჩა ერთი წრით. ერიკ კომა (საფრანგეთი, „დალარა“) — ჩამორჩა ერ.თი წრით.

საერთო ჩათვლა. კონსტრუქტორები: 1. მაკლარენი — 503; 2. ბენეტონი — 19; 3. უილიამსი — 17; 4. ფერარი — 16; 5. ტირელი — 11; 6-7. დალარა, ჯორდანი — 5-5; 8-9. მინარდი, ლოტუსი — 3-3; 10. ლოლა — 1.

ნელსონ პიკე
ბრაზილია

დაიბადა 1952 წლის 17 აგვისტოს რიო-დე-ჟანეიროში.

ფორმულა 1 ავტომობილში მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე 34 პილოტთა შორის ყველაზე ხანდაზმულმა, 38 წლის ნელსონ პიკემ „ფორდის“ ძრავიანი თავისი „ბენეტონით“ ხულ რაღაც ორ საათში 600000 დოლარი „გამოიმუშავა“. სწორედ ამდენს გადაუხდის მას მონრეალში კანადის დიდი პრიზის მოგებისათვის გუნდის მეპატრონე — ტანსაცმლის მწარმოებელი, რამდენიმე ფაბრიკის მფლობელი, იტალიელი მილიარდერი ლუჩანო მენეტონი (კონტრაქტით მოლაპარაკებულია 50000 დოლარი ყოველი ქულისათვის, ხოლო ეტაპის მოგებისათვის — 100000).

აღსანიშნავია, რომ მონრეალის ტრასაზე პიკემ ადრე ორჯერ იმარჯვა — 1982 და 1984 წლებში. მაშინ იგი „პრეპეუმით“ ასპარეზობდა. ფორმულაში ბრაზილიელი პილოტის დებიუტი კი 13 წლის წინ შედგა. ამ ხნის მანძილზე მან სამჯერ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული — 1981, 1983, 1987 წლებში.

სწორედ მესამე ტრიუმფის შემდეგ დაუდგა პიკეს „შავი დღეები“ — მოდელური სამი წლის განმავლობაში ვერც ერთ ეტაპზე ვერ შეძლო გამარჯვება. შარშანდელი ხეზონის მინურულს მან, როგორც იქნა, ნავსი გატეხა და ბოლო ორი რბოლის მოგებით შესძლო საერთო ჩათვლაში მესამე საპრიზო ადგილზე გასვლა.

საფლეისოდ, ვეტერანი ჩემპიონის აქტივშია 23 მოგებული დიდი პრიზი 194 რბოლიდან.



არგენტინელმა გაბრიელა საბატინიმ სახელი გაითქვა არა მარტო კარგი თამაშით, არამედ — სილამაზითაც. მას მსოფლიოში ყველაზე მომხიბვლელ ჩოგბურთელად მიიჩნევენ, თუმცა სიყვარულში თავიდან ბედი არ სწყალობდა. პირველი თაყვანისმცემელი მაფიოზი გამოდგა, მეორემ კი საკმაოდ უხამსი სიტყვებით შეაგინა გაბრიელას სექსუალური მონაცემები. „მორჩა, ლაწირაკებთან საქმეს აღარ დავიჭერ“ — თქვა საბატინიმ და 45 წლის მატადორს დაუმეგობრდა. ამის შემდეგ მისი სპორტული შედეგები საგრძნობლად ამაღლდა.

			აშშ	ბრაზილია	სან-მარინო	მონაკო	კანადა	მექსიკა	საფრანგეთი	ინგლისი	გერმანია	უნგრეთი	ბელგია	იტალია	პორტუგალია	ესპანეთი	იაპონია	ავსტრალია	სულ
1	აირტონ სენა ბრაზილია	მაკლარენი	10	10	10	10	—												40
2	ნელსონ პიკე ბრაზილია	ბენეტონი	4	2	—	—	10												16
3	ალენ პროსტი საფრანგეთი	ფერარი	6	3	—	2	—												11
4	გერჰარდ ბერგერი ავსტრია	მაკლარენი	—	4	6	—	—												10
5	რიკარდო პატრეზე იტალია	უილიამსი	—	6	—	—	4												10
6	სტეფანო მოდენა იტალია	ტირელი	3	—	—	—	6												9
7	ნაიჯელ მენსელი დიდი ბრიტანეთი	უილიამსი	—	—	—	6	1												7
8	ჟან ალეზი საფრანგეთი	ფერარი	—	1	—	4	—												5
9	ირკი ლეჰტო ფინეთი	ლალარა	—	—	4	—	—												4
10	პიერლუიჯი მარტინი იტალია	მინარდი	—	—	3	—	—												3
11	რობერტო მორენო ბრაზილია	ბენეტონი	—	—	—	3	—												3
12	ანდრეა დე ჩეზარისი იტალია	ჯორდანი	—	—	—	—	3												3

ბელგია

დასრულდა ბელგიის საფეხბურთო პირველობა. ჩემპიონის წოდება 21-ჯერ მოიპოვა ბრიუსელის „ანდერლეხტმა“. „გენტმა“, რომელიც თითქმის მთელი ჩემპიონატის განმავლობაში ლიდერობდა, ბოლო 10 ტურში 7 დამარცხება განიცადა და საბოლოოდ მესამე ადგილზე ჩამოქვეითდა.

თასის ნახევარფინალში „მეხელენმა“ მოუგო „ლოკერენს“ 3:1, ხოლო „ბრიუგემ“ მეორე ლიგის „ლომელს“ 1:0. ფინალში „მეხელენსა“ და „ბრიუგეს“ შორის შეხვედრაში გამარჯვებული გუნდი თასების მფლობელთა თასზე ეასპარეზებს, ხოლო დამარცხებული „გენტთან“ და ეკერენის „ჟერმინალთან“ ერთად უეფას თასის გათამაშებაში ჩაებმება.

1990-91 წლის სეზონის საბოლოო ცხრილი

„ანდერლეხტი“	34	23	7	4	74-22	53
„მეხელენი“	34	20	10	4	59-24	50
„გენტი“	34	20	7	7	67-37	47
„ბრიუგე“	34	18	11	5	61-27	47
„ჟერმინალი“	34	17	8	9	55-41	42
„სტანდარდი“	34	16	10	8	51-42	42
„ანტვერპი“	34	11	14	9	54-45	36
„შარლეროუ“	34	9	15	10	36-36	33
„ლოკერენი“	34	12	8	14	41-45	32
„ლიეჟი“	34	11	10	13	42-45	32
„ლირსე“	34	9	11	14	26-41	29
„მოლენბეეკი“	34	10	8	16	40-45	28
„ვარეგემი“	34	8	12	14	33-45	28
„რესინგი“ (გენკი)	34	9	8	17	31-66	26
„კორტრაიკი“	34	10	5	14	41-57	25
„სერკლ ბრიუგე“	34	9	7	18	40-72	25
„სენტ-ტროიდენი“	34	6	10	18	30-52	22
„ბეერსხოტი“	34	5	5	24	33-72	15

იტალია

მეორე ლიგის ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტური დარჩა. პირველი ლიგის საგზურები უკვე მოიპოვეს „ფოჯამ“ და „ვერონამ“, ხოლო დარჩენილი ორი ადგილისთვის იბრძვიან „კრემონეზე“, „ასკოლი“, „პადოვა“ და „ლუკეზე“.

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა თასის პირველი ფინალური მატჩი. „რომამ“ შინ დაამარცხა ქვეყნის ჩემპიონი „სამპდორია“ 3:1. განმეორებით მატჩში „სამპდორიას“ წინაშე საკმაოდ რთული ამოცანა დგას.

გასულ კვირას გადადგა „მილანის“ მწვრთნელი არიგო საკი. მისი ხელმძღვანელობით წელს გუნდმა ვერც ერთი ტიტული ვერ მოიპოვა. საკიმ თქვა, რომ დაიღალა და მომავალ სეზონში დასვენებას აპირებს. „მილანს“ სათავეში ჩაუდგა წარსულში იტალიის ნაკრების ფეხბურთელი კაპელო.

იტალიის პრესა იუწყებოდა, რომ გერმანელ ფეხბურთელს ლოთარ მათეუსს გადაწყვეტილი ჰქონდა „ინტერის“ დატოვება და სხვა გუნდში გადასვლა. „ინტერის“ ერთ-ერთი თამაშის შემდეგ მათეუსმა თქვა, რომ ეს მისი ბოლო მატჩი იყო „ინტერის“ შემადგენლობაში. გერმანელმა მოთამაშემ მიიღო ოფიციალური მიწვევა მადრიდის „რეალისგან“, რომელშიც ესპანეთის კლუბი მას სამწლიან ხელშეკრულებას სთავაზობდა. მაგრამ ყველაფერი გადაწყდა მას შემდეგ, რაც მათეუსი „ინტერის“ პრეზიდენტს ერნესტო პელეგრინის შეხვდა. შეხვედრის შემდეგ მათეუსმა პრეს-კონფერენცია მოიწვია და განაცხადა, რომ „ინტერში“ 1993 წლამდე რჩება.

თითქმის გადაწყვეტილია საფრანგეთის „მონპელიეს“ საუკეთესო ბომბარდირის ლორან ბლანის გადასვლა იტალიის „ნაპოლიში“ იტალიის კიდევ ერთი კლუბი „ლაციო“ კვლავ აგრძელებს მოლაპარაკებებს ინგლისელ პოლ გესჭოინთან. გესჭოინი გამოეწერა საავადმყოფოდან, თუმცა ისევ ყავარჯნებით უწევს სიარული. ექიმების აზრით, იგი ახალ წლამდე ვერ შესძლებს ვარჯიშის დაწყებას. მიუხედავად ამისა, გესჭოინი მალე რომში წასვლას და „ლაციოს“ ხელმძღვანელობასთან შეხვედრას აპირებს.

კავკასიის ბირჟა

აქციონერები ირჩევენ: აქცია — სახელობითი თუ პრივილეგირებული?

უბრალო სახელობითი აქციის მფლობელი სარგებლობს ხმის უფლებით აქციონერთა საერთო კრებაზე, იგი შეიძლება არჩეულ იქნას ბირჟის მმართველ ორგანოებში, შექმნას საბროკერო ფირმა; რისკმა საბირჟო ოპერაციებზე შესაძლოა მოუტანოს არა მხოლოდ მოგება, არამედ წაგებაც.

პრივილეგირებული აქციის მფლობელს გარანტირებული აქვს 20 პროცენტიანი ფიქსირებული დივიდენდი. ასეთი აქციის პრივილეგია მისი შემოსავლის სტაბილურობაშია. ზემოთ ჩამოთვლილი უპირატესობანი მის მფლობელს არ გააჩნია.

„კავკასიის ბირჟის“ წესდების მიხედვით პრივილეგირებული აქციების საერთო თანხა შეადგენს საწესდებო ფონდის 10 პროცენტს, ანუ 8 მილიონ მანეთს. ამიტომ პრივილეგირებული აქციის მიღების უფლება პირველ რიგში მიეცემათ მათ, ვინც უფრო ადრე გახდა ბირჟის აქციონერი.

აქციონერებმა, რომლებსაც სურთ ფასიანი ქაღალდების გადაფორმება, უნდა მიმართონ „კავკასიის ბირჟის“ საბირჟო საბჭოს დროებით კომისიას 1991 წლის 1 ივლისამდე.

მისამართი: ქეთევან წამებულის №71 სამუშაო დღეები, 10-დან 17 საათამდე.

კავკასიის ბირჟა

საავციონერო საზოგადოება „კავკასიის ბირჟა“

სარეკლამო სააგენტო „მი-მი-ნო“

ფეხბურთის რუქასთან

ესპანეთის ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში მადრიდის „რეალმა“ მოუგო „ატლეტიკოს“ 3:0. ამ მატჩში ორი გოლი გაიტანა ემილიო ბუტრაგენიომ და 19 გატანილი ბურთით სათავეში ჩაუდგა ბომბარდირთა სიას. ჩემპიონმა „ბარსელონამ“ შინ ფრედ (0:0) ითამაშა „ოვიედოსთან“. „ბარსელონას“ 57 ქულა აქვს, „ატლეტიკოს“ — 47. მესამე ადგილზე გადინაცვლა მადრიდის „რეალმა“, რომელსაც 44 ქულა აქვს.

ჰოლანდიის თასის ფინალში როტერდამის „ფეიენოორდმა“ დაამარცხა მეორე ლიგის „დენ ბოსხი“ 1:0. გოლი მე-8 წუთზე გაიტანა რობ ვიჩგემ.

გერმანიის ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე „კაიზერსლაუტერნმა“, რომელიც „ბაიერს“ 4 ქულით უსწრებს, პრაქტიკულად გაინაღდა ჩემპიონობა. 32-ე ტურში „კაიზერსლაუტერნმა“ ბრემენში მოუგო „ვერდერს“ (2:1), ხოლო „ბაიერნი“ დამარცხდა „ვატენშაიდთან“ (2:3). ლევერკუზენის „ბაიერის“ ხელმძღვანელობამ გათავისუფლა გუნდის მწვრთნელი ფურგენ გელსდორფი, მას შემდეგ რაც „ბაიერი“ დამარცხდა „აინტრახტთან“ და უეფას თასის საგზურის მოპოვების შესაძლებლობა დაკარგა.

ყოფილი გდრ-ის თასის ბოლო გათამაშების ფინალში როსტოკის „ჰანზამ“ მოუგო აიზენჰუტენშტადტის „შტალს“ (1:0). მომავალი სეზონიდან „ჰანზა“, ისევე როგორც დრეზდენის „დინამო“, გაერთიანებული გერმანიის ლიგაში ისპარეზებს.

ავსტრიის თასის ფინალში მეორე ლიგის „შტოკერაუმ“ დაამარცხა ვენის „რაპიდი“ 2:1.

ბრაზილიის ჩემპიონატის გადამწყვეტ ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან „სან-პაულუ“ და „ბრაგანტინუ“. „ბრაგანტინუმ“ ნახევარფინალში „ფლუმინენსეს“ მოუგო, ხოლო „სან-პაულუმ“, რომელსაც ცნობილი ბრაზილიელი სპეციალისტი ტელე სანტანა ხელმძღვანელობს, „ატლეტიკუ მინეირუ“ დაამარცხა.

ინგლისის პირველი ლიგის საგზური მოიპოვა „ნოთს ქაუნთიმ“, რომელმაც გადასასვლელი ტურნირის გადამწყვეტ მატჩში დაამარცხა „ბრაიტონი“ 3:1.

საფრანგეთის თასის ნახევარფინალში „ბარსელმა“ მოუგო მეორე ლიგის გუნდს „როდეზს“ 4:1. ამ მატჩში „ჰეთ-ტრიკი“ შეასრულა საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა პაპენმა. 8 ივნისს, თასის ფინალში „ბარსელი“ „მონაკოს“ შეხვდება.

ევროპის ჩემპიონატი

I ჯგუფი

ინლანდია — ჩეხეთსლოვაკეთი 0:1

რეიკიავიკში ჩეხეთსლოვაკეთის ნაკრებმა ისლანდიის ნაკრებს მოუგო (1:0) და ორ ქულამდე შეამცირა სხვაობა ჯგუფის ლიდერთან, საფრანგეთთან. ჯგუფში მორიგი მატჩი 4 სექტემბერს ჩატარდება: ჩეხეთსლოვაკეთის ნაკრები საფრანგეთის ნაკრებს უმასპინძლებს.

საფრანგეთი	5	5	0	0	13-3	10
ჩეხეთსლოვაკეთი	5	4	0	1	8-4	8
ესპანეთი	4	2	0	2	14-7	4
ისლანდია	6	1	0	5	4-7	2
ალბანეთი	6	1	0	5	1-19	2

II ჯგუფი

შვეიცარია — სან-მარინო 7:0

ამ ჯგუფში ევროპის ჩემპიონატის საგზურისათვის ბრძოლას მხოლოდ ორი გუნდიღა შემორჩა: შოტლანდიისა და შვეიცარიის ნაკრებები. თითოეული გატანილი ბურთი შეიძლება ამ ბრძოლაში გადამწყვეტი აღმოჩნდეს. მატჩის წინ შვეიცარიელები არ მალავდნენ, რომ სან-მარინოს ნაკრების დიდი ანგარიშით დამარცხებას აპირებდნენ. ნაკრების მწვრთნელმა ული შტილიკემ ფეხბურთელებს ზუსტი რიცხვიც კი უთხრა: მათ რვა ბურთის გატანა ევალებოდათ. შვეიცარიელებმა თითქმის შეასრულეს „ვეგმა“ 7 გოლი გაიტანეს და ჯგუფის სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგნენ.

11 სექტემბერს ერთმანეთს ჯგუფის ლიდერები შეხვდებიან: შვეიცარიის ნაკრები შოტლანდიის გუნდს უმასპინძლებს.

შვეიცარია	6	4	1	1	17-4	9
შოტლანდია	5	3	2	0	8-4	8
ბულგარეთი	6	2	2	2	10-7	6
რუმინეთი	5	2	1	2	10-6	5
სან-მარინო	6	0	0	6	1-25	0

III ჯგუფი

ნორვეგია — იტალია 2:1

ნორვეგიელებთან დამარცხების შემდეგ „სკუადრა აძურამ“ პრაქტიკულად დაკარგა ჯგუფში გამარჯვების შესაძლებლობა. ოსლოში იტალიელებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს და წააგეს მატჩი 1:2.

მასპინძლები შეხვედრის დასაწყისშივე დაწინაურდნენ: ანგარიში მე-4 წუთზე დალუმმა გახსნა, მე-20 წუთზე კი ბოჰინენმა კიდევ ერთი გოლი გაიტანა. იტალიელი მცველები უხეშ შეცდომებს უშვებდნენ და მეტოქის თავდამსხმელებს თავისუფალი გადაადგილების საშუალებას აძლევდნენ.

მატჩის მიწურულს, 78-ე წუთზე სკილაჩიმ ერთი გოლი გაქვითა, მაგრამ იტალიელებმა მეტი ვეღარ შესძლეს და დამარცხდნენ 1:2.

სსრკ	4	3	1	0	7-0	7
ნორვეგია	5	3	1	1	8-3	7
იტალია	5	2	2	1	9-4	6
უნგრეთი	6	2	2	2	8-7	5
კვიპროსი	6	0	0	6	2-20	0

IV ჯგუფი

დანია — ავსტრია 2:1

ოდენსეში დანიის ნაკრებმა დაამარცხა ავსტრიის გუნდი 2:1. დანიელთა უპირატესობა მთელი მატჩის მანძილზე აშკარა იყო. ავსტრიის ნაკრების ახალგაზრდა და გამოუცდელმა ფეხბურთელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს მასპინძელთა შეტევებს. დანიელებმა ანგარიში უკვე მე-2 წუთზე გახსნეს (ქრისტიანსენი). 78-ე წუთზე ისევ ქრისტიანსენმა თავური დარტყმით მეორე გოლი გაიტანა. დანიელებმა კარის აღების უამრავი შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს, ავსტრიელთა ერთ-ერთი იშვიათი შეტევა კი გოლით დამთავრდა. ბურთი 82-ე წუთზე ოგრისმა გაიტანა.

11 სექტემბერს ფარერის კუნძულების ნაკრები ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებს უმასპინძლებს.

იუგოსლავია	6	5	0	1	20-4	10
დანია	5	3	1	1	9-6	7
ავსტრია	5	1	1	3	5-7	3
ჩრდ.ირლანდია	5	0	3	2	3-8	3
ფარერის კ-ბი	5	1	1	3	3-15	3

V ჯგუფი

უელსი — გერმანია 1:0

მატჩის პირველ ნახევარში სტუმრები ახერხებდნენ უელსელების შეტევების შეკავებას, მაგრამ მას შემდეგ, რაც მოედანი ორმა წამყვანმა ფეხბურთელმა დასტოვა, გერმანელებს საქმე ცუდად წაუვიდათ. ლოთარ მათეუსმა ტრავმა მიიღო და მეორე ტაიმში მოედანზე აღარ გამოსულა, ხოლო თომას ბერთოლდი მსაჯმა მოედნიდან გააძევა. გერმანელებმა ვეღარ გაუძღვნეს მასპინძელთა მუდმივ დაწოლას და 66-ე წუთზე იენ რაშმა ანგარიში გახსნა.

გერმანელების გააფთრებულ შეტევებს შედეგი აღარ მოჰყოლია.

ამ გამარჯვების შემდეგ უელსის ნაკრებს ჯგუფში გამარჯვების საუკეთესო შესაძლებლობა აქვს.

უელსი	4	3	1	0	6-2	7
გერმანია	3	2	0	1	4-3	4
ბელგია	4	1	1	2	5-5	3
ლუქსემბურგი	3	0	0	3	2-7	0

VI ჯგუფი

ფინეთი — ჰოლანდია 1:1

ჰელსინკიში ჰოლანდიის ნაკრებმა მეტად საჰირო ქულა დაკარგა. ჰოლანდიელები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ ინიციატივას, მაგრამ ფრეს დასჯერდნენ.

11 სექტემბერს პორტუგალიის ნაკრები ფინეთის გუნდს უმასპინძლებს.

ჰოლანდია	3	4	1	1	14-2	9
პორტუგალია	5	3	1	1	9-3	7
ფინეთი	5	1	3	1	4-4	5
საბერძნეთი	3	2	0	1	7-4	4
მალტა	7	1	0	6	1-22	1

თუ კაცი მოინდომებს
მიუწვდომელი არაფერია!

ჩვენი ინდექსი 66441

1 თვე — 1 მან. 73 კაპ. 3 თვე — 5 მან. 19 კაპ.
6 თვე — 10 მან. 32 კაპ. 12 თვე — 20 მან. 76 კაპ.

გამოიწერეთ!

„დიდი მგლის“ ცრემლები

„...მინდა რამდენიმე სიტყვა ვუთხრა კაცს, რომელიც მრავალი ადამიანისათვის მოქალაქეობრიობისა და სპორტული სიმამაცის ეტალონი იყო. მე უღრმეს მადლობას მოვახსენებ ტიიონო ფუძის ეროვნული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის და იმედი მაქვს, რომ იგი უმაღლესი კლასის მოჭიდავეთა ახალ თაობას აღზრდის“. აი, ასე მოულოდნელად დამთავრა თავისი გამოსვლა იაპონიის ტელევიზიით ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ტოსიკი კაი-ფუმ. ეს თბილი სიტყვები ნათქვამი იყო ცნობილი სპორტსმენის, ბოლო ათწლეულში სუმოს საუკეთესო ოსტატის მისამართით.

წინადღით მოხდა ერთი ამბავი, რამაც სუმოს — იაპონელთა ეროვნული ჭიდაობის მილიონობით გულშემატკივარი ძალზე აღელვა. დედაქალაქის სპორტის სასახლე „ტოკაი დოუმეში“, რომელიც 63 ათას მაყურებელს იტევს, მთელი იაპონიის კერპმა, დიდმა ტიიონო ფუძიმ საქვეყნოდ გამოაცხადა, სარბიელს ვეშვიდობებიო. იმ საღამოს კიდევ ერთხელ დადასტურდა სუმოს უდიდესი პოპულარობა ამომავალი მზის ქვეყანაში. სუმო იაპონელებისათვის წმინდათაწმინდა ხალიცვია, რომელშიც ასახვას პოვებს ხალხის სულის უღრმესი პლასტები, უძველესი ეროვნული ადათ-წესებისა და ტრადიციების კულტურა. აი, ამ საგანძურის ერთ-ერთ ყველაზე ერთგულ მცველად ითვლებოდა ტიიონო ფუძი, რომელსაც ხალხმა „დიდი მგელი“ შეარქვა. იგი ათ წელიწადს განუყოფლად მეფობდა და სუმოს უმაღლესი ტიტული — „იოკოძუნაც“ დაისაკუთრა.

ვერც უამრავმა ტრავმამ თუ ნაღრძობმა, ვერც ძლიერმა მეტოქეებმა შეაფერხეს მისი სვლა დიდების მწვერვალისაკენ. 35 წლის მოჭიდავემ სპორტული კარიერის 22 წლის მანძილზე 1045 ორთაბრძოლა მოიგო. მას მოპოვებული აქვს ოცდათერთმეტი „იმპერატორის თასი“ — სუმისტებისათვის დაწესებული უმაღლესი პრიზი. ფუძის დიდი იმედი ჰქონდა, რომ ამ პრიზს ერთხელ კიდევ მოიპოვებდა და თავისი სახელგანთქმული წინამორბედის — ტაიხის რეკორდს გაიმეორებდა, მაგრამ ბოლო ტურნირი მისთვის საბედისწერო გამოდგა. ეროვნულ ჩემპიონატზე თუმცა ისევ და ისევ წარმატებას უწინასწარმეტყველებდნენ, ფუძიმ ზედიზედ ორი შეხვედრა წაგო. მეორე ბრძოლის დამთავრების შემდეგ, როცა არბიტრმა მისი ახალგაზრდა მეტოქის გამარჯვების ამბავი გამოაცხადა, ფუძი შეტორტმანდა, მუხლებზე დაეცა და შემდეგ ტატამზე გაიშხლართა. წონით ორცენტნერიანმა გოლიათმა შერცხვენა ვერ აიტანა და გონება დაკარგა. რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა მოსულიერდა, ფუძი ისევ გამოვიდა ხალხის წინაშე და მაყურებელს განუცხადა, რომ გადაწყვიტა სამუდამოდ დატოვოს სპორტი. „ეგრძნობ, რომ ჩემი წასვლის დროც მოვიდა“, — დარმოთქვა „დიდმა მგელმა“ აკანკალებული ხმით და ცრემლები გადმოსცვივდა. მასთან ერთად ხმაღალა ქვითინებდა მთელი „ტოკაი დოუმი“.

კვლავ ჯონსონი და ლუისი



საფრანგეთის ქალაქ ვილნევ დ'ასკოში სეულის 1988 წლის ოლიმპიადის შემდეგ ერთმანეთის პირისპირ პირველად წარდგებიან ძველი მეტოქეები — ამერიკელი კარლ ლუისი და კანადელი ბენ ჯონსონი. ორივე მხარემ წინასწარ ზეპირი თანხმობა განაცხადა შეხვედრაზე, ამ დღეებში კი მათ ოფიციალურ კონტრაქტს მოაწერეს ხელი. ტურნირის სპონსორი იქნება საფრანგეთის მსხვილი კონცერნი „ბანკ ნასიონალ დე პარი“.

— ჩვენთვის დიდი პატივია ორი სახელგანთქმული სპრინტერის მასპინძლობა, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ, კონტრაქტის თანახმად, პირველ ივლისამდე, ისინი ერთად არსად გამოვლენ სარბენ ბილიკზე. ეს იმას ნიშნავს, რომ 1988 წლის ოლიმპიადის შემდეგ მათი პირველი დუელი სწორედ ჩვენთან მოეწყობა, — განაცხადა მომავალი შეჯიბრების დირექტორმა რაიმონ ლორემ.

ასპარეზობის დაწყებამდე, რომელსაც „BNP“-ის ტურნირი ეწოდა (სპონსორის სახელწოდებაში შემავალი სიტყვების თავკიდური ასოები), ჯერ კიდევ საკმაოდ დროა და ორგანიზატორებს საშუალება აქვთ საგულდაგულოდ მომზადონ, ყველა წვრილმანი გაითვალისწინონ. უკვე ცნობილია, რომ 100 მეტრზე გარბენისა და, საერთოდ, მთელი ტურნირის ჩვენების უფლება იყიდა საფრანგეთის საკაბელო ტელევიზია „კანა-პლუსმა“, პირდაპირი რეპორტაჟი მოეწყობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

„სპორტის დედოფლის“ თაყვანისმცემლებს კარგად ახსოვთ ის დრამატული გარბენი ასმეტრიან დისტანციაზე ოლიმპიურ სეულში. კიდევ უფრო დრამატული აღმოჩნდა შემდგომი ამბები: ოლიმპიურ ფინალში ჯონსონმა დაამარცხა ლუისი სარეკორდო დროით — 9,79 წამი, მაგრამ შემდეგ ჩატარებული დოპინგანალიზის შედეგად გამარჯვებულს აკრძალული სტიმულატორების — ანაბოლიტიკური სტეროიდების კვალი აღმოუჩინეს. ამის გამო კანადელ სპორტსმენს ოქროს მედალი ჩამოართვეს და მისი რეკორდიც გააუქმეს. გაუქმდა მისი წინა, 1987 წელს რომის მსოფლიო ჩემპიონატში დამყარებული რეკორდიც — 9,83. სამაგიეროდ, სარეკორდოდ გამოცხადდა ლუისის მიერ იმავე სეულის ოლიმპიადის ფინალში ნაჩვენები შედეგი — 9,92.



— ლუისთან შეხვედრას უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ. ასეთი შეხვედრები აუცილებელია ჩემთვის, რათა ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატის წინ კონცენტრირება შევძლო, — უთხრა ბენ ჯონსონმა „ასოშიეიტედ პრესის“ კორესპონდენტს.

რაც შეეხება კარლ ლუისს, მან თავი შეიკავა კომენტარებისაგან, რაიმონ ლორემ კი უარი თქვა კონტრაქტის პირობების გამოცხადებაზე, კერძოდ, არ დაასახელა თანხა, რომელსაც ორი ცნობილი სპორტსმენი მიიღებს შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის. ლორემ აღნიშნა მხოლოდ ის, რომ „ლუისის წილი ცოტა უფრო მეტია“.

რა ღირს მშვიდობის ველორბოლა

წლევანდელ „მშვიდობის ველორბოლაში“, რომელიც რიგით 44-ე იყო, გამარჯვებული „შკოდა-ფავორიტის“ მარკის მსუბუქი ავტომობილით დაჯილდოდა. პირად ჩათვლაში მეორე და მესამე პრიზიორებმა შესაბამისად 2500 და 2000 დოლარი მიიღეს. გარდა ამისა, ახალი წესებით, ეტაპზე გამარჯვება 200 დოლარად იყო შეფასებული. ფულადი ჯილდოები დააწესეს იმ სპორტსმენებისათვისაც, რომლებიც პირად ჩათვლაში IV-XX ადგილებს დაიკავებდნენ, ან ეტაპებზე პირველ ათეულში გავიდოდნენ.

ავტორიტეტულ ექსპერტთა აზრით, ამ სიახლემ სტიმული მისცა ველოსიპედისტებს, რომლებიც მთელი რბოლის მანძილზე შეუპოვრად, უშეღავათოდ იბრძოდნენ. ამასთან მონაწილეებს შესანიშნავი სერვისი შესთავაზეს. სპორტსმენები საუკეთესო სასტუმროებში ისვენებდნენ, ყველა მონაწილისთვის ყოველდღე ეწყობოდა საერთო სადილი. მათი ბარგი უფასოდ გადაჰქონდათ და ასევე უფასოდ ურეცხავდნენ სპორტულ ფორმას. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ყოველივე ამან „მშვიდობის ველორბოლას“ საუკეთესო სამოყვარულო ასპარეზობის სახელი შესძინა. დავძენთ, რომ წლეულს ეს შეჯიბრება პირველად ჩატარდა მხოლოდ ჩეხეთსლოვაკეთისა და პოლონეთის გზებზე.

მართალია, გერმანელ ველოსიპედისტთა კავშირის უარმა ერთგვარი ფინანსური გართულებები მაინც გამოიწვია. მთელი სიმძიმე ჩეხეთსლოვაკეთისა და პოლონეთის ველოსპორტის ფედერაციებს დააწვა მხრებზე, რომლებმაც შეჯიბრების ორგანიზაციას შესაბამისად 200 და 185 ათასი მარკა მოახმარეს. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, მრავალდღიანი რბოლა შესანიშნავად ჩატარდა.

რაც შეეხება „მშვიდობის ველორბოლის“ მომავალს, მიმომხილველთა აზრით, ეს შეჯიბრება მხოლოდ იმ შემთხვევაში არ შეწყვეტს არსებობას, თუ მოხერხდება ძველი ტრადიციების აღდგენა, უფრო ზუსტად, თუ ასპარეზობის ეტაპები კვლავ მოეწყობა გერმანიის მიწაზე. თავის მხრივ გერმანიის ველოსიპედისტთა კავშირის პრეზიდიუმმა ამ დღეებში ოფიციალური წერილი გაუგზავნა კოლეგებს ჩეხეთსლოვაკეთსა და პოლონეთში. წერილში ნათქვამია, რომ „მესამე ქვეყანას“ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, იყოს 1992 წლის „მშვიდობის ველორბოლის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი და მონაწილე.

აქეთური, იქეთური...

საცხენოსნო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ლონდონში გამართა თათბირი, სადაც დაამტკიცა მსოფლიოს თაიხის გათამაშების კალენდარი უახლოესი წლებისათვის. 1992 წელს ასპარეზობა ცხენის გაწვრთნის უმაღლეს კლასში და კონკურში ჩატარდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1993 წელს — შვეიცარიაში, 1994 წელს კი ჰოლანდიაში. ამასთან ერთად გადაწყდა, რომ 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიადაზე გუნდური შეჯიბრებები საცხენოსნო სამჭიდში არ ჩატარდება. სამჭიდელები მხოლოდ პირად პირველობაში იასპარეზებენ.

■ ■ ■

შაიბიანი ჰოკეის იტალიის ფედერაციამ დაასახელა ქალაქები, სადაც 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები გაიმართება. წინასწარი შეხვედრები ჩატარდება რომსა და ბოლცანოში, ფინალურ ტურნირს კი მილანი უმასპინძლებს.

■ ■ ■

სატრეკო ველოსრბოლაში 1991 წლის მსოფლიო ჩემპიონატის (იგი უნდა ჩატარდეს 13-25 აგვისტოს შტუტგარტში) ორგანიზატორები რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. დღემდე არ არის გადაწყვეტილი შეჯიბრების ჩატარების ადგილი. თავდაპირველად ჩემპიონატის ჩატარებას გეგმავდნენ ტრეკზე, რომელიც მდებარეობს გამოფენათა და კონგრესების პარკ „ჰანს მარტინ შლაიერის“ ტერიტორიაზე. თუმცა პარკის პატრონებმა გაჭირვებასა და ყველა სახის მომსახურებაში მოითხოვეს მილიარდი მარკა. ორგკომიტეტის ხაზინაში კი ასეთი თანხა ჯერ არ არის.

■ ■ ■

სამხრეთ აფრიკის სპორტის ასოციაციამ მსოფლიო უნივერსიადის ორგკომიტეტში გაგზავნა ოფიციალური მოთხოვნა თავისი ქვეყნის სპორტსმენების ამ შეჯიბრებებში შესაძლო მონაწილეობის თაობაზე. თუკი შეფილდიდან, სადაც ზაფხულის სტუდენტური თამაშები უნდა ჩატარდეს, დადებით პასუხს მიიღებენ, მაშინ ცნობილი მორბენალი ქალი ზოლა ბრად-პიტერსი და მისი რამდენიმე თანამემამულე, უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე პირველად წარსდგებიან დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაზე თავისი ქვეყნის სახელით.

■ ■ ■

პროფესიული კრივის სამყარო მოიარა სენსაციურმა ცნობამ. განმეორებითი შეხვედრა მძიმე წონაში, მსოფლიო ექსჩემპიონ მაიკ ტაისონსა და დონოვან რადოკს შორის, რომელიც 28 ივნისს ლასვეგასში უნდა გამართულიყო, არ შედგება. რადოკმა პრესაში განაცხადა, რომ იგი რინგზე გასვლაზე უარს ამბობს.

— მე მაიკს უდიდეს პატივს ვცემ როგორც მოკრივეს და არ მინდა ხელი შევუშალო. მას დრო სჭირდება, რათა უკეთ მოემზადოს ევანდერ ჰოლიფილდთან მატჩისათვის — თქვა დონოვანმა.

■ ■ ■

აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი სპორტულ სამყაროში ცნობილია როგორც ფეხბურთის დიდი თაყვანისმცემელი. ახლა მას მნიშვნელოვანი პოსტი უკავია ფეხბურთში 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ორგკომიტეტში. ჩემპიონატი ჩატარდება მის ქვეყანაში. ცოტა ხნის წინ კისინჯერი აირჩიეს მიუნხენის საფეხბურთო კლუბ „ბავარიის“ ადმინისტრაციულ საბჭოში. როგორც პოლიტიკოსმა თქვა, იგი დიდი ხანია ამ კლუბის გულშემატკივარია.

■ ■ ■

ძიუდოში მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონმა ჭალმა, ბელგიელმა ინგრიდ ბერგმანმა განაცხადა, რომ სპორტს თავს ანებებს. ბოლო ხანს მას ტრავმები აწუხებდა, რის გამოც ვერ მიიღო მონაწილეობა მაისში, პრაღაში გამართულ ევროპის ჩემპიონატში. ამ დღეებში, მის ცხოვრებაში ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა — მან იქორწინა თავისი ქვეყნის ცნობილ ძიუდოისტთან მარკ ვალოსთან.

აქეთური, იქეთური...

„სარბიელის“ სპონსორია კოოპერატივი „ტრანსკავშირი“

გამოდის
პარასკევობით
სარბიელი
ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი:
თბილისი 380060, ცაგერის ქ. №6, ბ.30.
გაზეთ „სარბიელის“ რედაქცია.
ტელეფონი: 38-39-93.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ძსს გამოთვლით ცენტრში. ტელეფონი 35-26-44
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში
თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია.
სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ძოწენიძე (პასუხისმგებელი მდივანი), შალვა შალოლაშვილი, გიორგი ჩოჩიშვილი.
კომერციული დირექტორი შოთა ჭულუხაძე.